შირაქი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№6 (9.620)

1-8 მარტი 2014 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

დედოფლისწყაროს ახალი გამგებელი ჰყავს

24 თებერვალს, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულომ, მუნიციპალიტეტის გამგებლად 30 წლის ნიკოლოზ ჯანიაშვილი დაამტკიცა. საკონკურსო კომისიამ კონკურსანტთაგან უპირატესობა ნიკოლოზ ჯანიაშვილის კანდიდატურას მიანიჭა. კონკურსში სულ 47 კანდიდატი მონაწილეობდა. ახლადდანიშნული გამგებელი იმავე დღეს გამგეობის თანამშრომლებს, სამსახურის უფროსებს და სოფლის რწმუნებულებსაც შეხვდა. შემდეგ კი ბანკში წავიდა, პორტფელი ახალ ხელმძღვანელს გადააბარა და თანამშრომლებს დაემშვიდობა. ნიკოლოზ ჯანიაშვილი 1983 წლის 12 სექტემბერს დაიბადა. დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი, აქვს ეკონომიკის მაგისტრის ხარისხი. 2010 წელს სტაჟირება გაიარა გერმანიაში, „პროკრედიტის აკადემიაში“. 2005-2012 წლებში მუშაობდა „პროკრედიტ ბანკში“. 2005-2008 წლებში თელავში საკრედიტო ექსპერტად, 2008-2009 წწ ფოთში საკრედიტო სამმართველოს უფროსის მოადგილედ, 2009 წელს რუსთავის საკრედიტო სამმართველოს უფროსად, 2009-2010 წწ თბილისში, ლილოს ფილიალში საკრედიტო სამმართველოს მენეჯერად, 2012 წელს წნორის ფილიალის აგრო-ბიზნესის კოორდინატორად. 2013 წლიდან დღემდე, ბანკ „კრისტალის“ წნორის ფილიალის მმართველია. ოჯახური მდგომარეობა: დასაოჯახებელი. შეგახსენებთ, რომ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის თანამდებობა მას შემდეგ გახდა ვაკანტური, რაც ყოფილი გამგებელი ირაკლი შიოლაშვილი პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა კახეთის გუბერნატორად დანიშნა. თავად ნიკოლოზ ჯანიაშვილი ჟურნალისტებს სრულ გამჭვირვალობას და აქტიურ თანამშრომლობას ჰპირდება. მისი მმართველობა დაინტერესებული პირებისთვის გახსნილი იქნება. ამბობს, რომ ჯანსაღი კრიტიკა მისთვის მისაღებია, მთავარია, ჟურნალისტებმა ობიექტურობა დაიცვან. აღიარებს, რომ პროცესების გაჯანსაღებაში და, ზოგადად, მუნიციპალიტეტის ცხოვრებაში მედიას მნიშვნელოვანი როლი აკისრია. განსაკუთრებით კი ადგილობრივ მედიას, რომელიც ძირითადად დედოფლისწყაროში მიმდინარე მოვლენებსა და პრობლემებზეა ორიენტირებული. თვლის, რომ მის კარიერაში წარმატებული ნაბიჯები სტუდენტობის პირველივე წლებიდან დაიწყო და კვლავაც გრძელდება. მიაჩნია, რომ ყველაფერს თავდაუზოგავი შრომით და საქმისადმი პასუხისმგებლობის დიდი გრძნობის წყალობით, დამოუკიდებლად მიაღწია. ეს ყველაფერი და უმაღლესი განათლების მიღება კი საკმაოდ რთულ პერიოდში მოუხდა. ამბობს, რომ მისმა ოჯახმა აქცენტი უმაღლეს განათლებაზე გააკეთა. მისი ცხოვრების განვლილი გზა აძლევს საფუძველს, დედოფლისწყაროს გამგებლად მისი ნაყოფიერად მუშაობის მოლოდინი გვქონდეს. ამაში ისიც დაეხმარება, რომ დედოფლისწყაროელია და ხსენებული მუნიციპალიტეტის ავ-კარგი კარგად აქვს გათავისებული. თვლის, რომ მისთვის სერიოზული გამოწვევა იყო, როცა ასაკთან შედარებით საკმაოდ მსხვილ საფინანსო ორგანიზაციებს მართავდა. აღმოჩნდა, რომ მისი მუშაობა წარმატებულად ფასდებოდა. ჯანიაშვილი გაზეთ „შირაქთან“ საუბარში ამბობს, რომ ამ თანამდებობაზე ფურცელზე ჩამოწერილი გეგმით არ მოსულა და წინასწარ განსაზღვრული არ აქვს, რისი გაკეთება სურს მმობლიურ რაიონში. ამჟამად გაცნობის პროცესშია, კონკრეტული ხედვა მალე ექნება. ამბობს, რომ მისი წინამორბედი საკმაოდ წარმატებული გამგებელი იყო და არ უნდა, ტემპი შენელდეს. იმ მოსაზრებასაც იზიარებს, რომ წინა ხელისუფლების პირობებში დედოფლისწყარო ყველასგან მიტოვებული რაიონის შთაბეჭდილებას ტოვებდა. მოხარულია, რომ ეს იმიჯი იმსხვრევა და სურს, ამაში საკუთარი წვლილიც შეიტანოს. ამ თანამდებობით მის დაინტერესებასაც სწორედ ამას უკავშირებს, მით უფრო, რომ მაღალანაზღაურებადი სამსახური არც მანამდე აკლდა. უფრო ვრცლად, მაყურებლის და ჟურნალისტის შეკითხვებს ნიკოლოზ ჯანიაშვილი 9 მარტს, ტელეკომპანია „ობიექტივის“ პირდაპირ ეთერში 17:30 საათზე უპასუხებს, თოქ-შოუში „დედოფლისწყაროს საათი“, სადაც დედოფლისწყაროელებს გამგებლის გაცნობის საშუალება ექნებათ.

ილია მარტყოფლიშვილი

ქალის ბედი საქართველოში

საქართველოში გაზაფხული დგება, ლურჯი ენძელებითა და განუმეორებელი სურნელით, მხოლოდ წელიწადის ამ დროს რომაა დამახასიათებელი. ამ დღეებში ყველა ცდილობს, მოეფეროს ქალებს და ეს დღესასწაულები გაულამაზოს, თუმცა, რამდენად ლამაზია ქართველი ქალის ყოფა ჩვენს ქვეყანაში, ეს სხვა თემაა. ხშირად ვსაუბრობთ, რომ ქალის ბედი საქართველოში არცთუ მიმზიდველად გამოიყურება. დღეს ბევრმა ქალმა ოჯახში მამაკაცი ჩაანაცვლა და სუსტი სქესის ნაცვლად ძლიერ დასაყრდენად იქცა. ერთი შეხედვით, ეს საკამათო სულაც არ უნდა იყოს ქვეყანაში, სადაც ემანსიპაციის თემა თამარ მეფის ეპოქაში უკვე მოგვარებულ საკითხად ითვლებოდა, მაგრამ აქ ქალის უფლებებზეა საუბარი. ქართველი ქალი ხშირად იძულებულია, გაუძლოს ქმრის ძალადობას ოჯახში, რადგან მას ოჯახის დანგრევის შემთხვევაში, არ გააჩნია ეკონომიკური შესაძლებლობა, რომ საკუთარი თავი და შვილები არჩინოს. ამიტომ ხშირად ბედს ეგუება, საკუთარ თავმოყვარეობასა და ცხოვრებაზე „ნებაყოფლობით“ ამბობს უარს და მოძალადე ქმრის გვერდით ატარებს მთელ ცხოვრებას. ასეთ ქალებს რომ კითხოთ, გეტყვიან, რომ ოჯახის გამო ყველაფრის ატანა მშობლებმა ასწავლეს, რომ ისინი ტრადიციებს სცემენ პატივს და მეუღლისადმი ლამის მონური მორჩილებაც, ტრადიციებისა და მშობლების პატივისცემაა. ზოგიერთს სათანადო განათლებაც აქვს მიღებული, მაგრამ მეუღლის ნების წინააღმდეგ წასვლა უჭირს და მთელ თავის ენერგიას შვილების აღზრდას აქსოვს, მთელი სიყვარულიც მათზე გადააქვთ. გადის წლები და შვილებიც იზრდებიან, თავიანთი ინტერესები უჩნდებათ, ხვდებიან ადამიანებს-ცხოვრების მეგზურებს და ოჯახებს ქმნიან. მათ უკვე თავიანთი ცხოვრება აქვთ და სულ უფრო ნაკლები დრო რჩებათ დედისთვის, რომელმაც შვილების გამო ყველაფერზე უარი თქვა-სიყვარულზეც და მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანზე- თავისუფლებაზე.

ბევრი დედა, რომელიც მსგავს სიტუაციაში ცხოვრობს, საკმაოდ ეგოისტურად ზრდის შვილს და მისგან მოითხოვს იმის კომპენსირებას, რაც ცხოვრებაში დააკლდა, კერძოდ: დედის მიერ არჩეული პროფესია და შემდეგ დედისთვის მისაღები სარძლო ან საცოლე, წინაღმდეგ შემთხვევაში, ულტიმატუმის ენით საუბარი. ხოლო თუ მაინც არ გაუმართლებს და შვილის არჩევანი მისას არ დაემთხვევა, დედას მთელი სამყარო ენგრევა, მაგრამ მაინც იბრძვის შვილისთვის, რომელიც თავისთვის გაზარდა. ასეთი დამოკიდებულება არაერთი ახალგაზრდა ოჯახის ტრაგედიის მიზეზიც გამხდარა. ამიტომაცაა, ჩვენს დროში გამეფებული „დედიკოს ბიჭები“-ს ცნება, რომელთა უმრავლესობასაც უჭირს დამოუკიდებლად ცხოვრებისეული ნაბიჯების გადადგმა. შვილებიც

(გაგრძელება გვ.3)

"გაზაფხული შემოსულა, ლენ"...

გვ. 3

25 წელი პირადობის მოწმობის გარეშე

გვ. 4

ვაშლოვანში გაჩენილი ხანძრის გამო მწყემსი დაჯარიმდა

გვ. 2

როგორ მივიღოთ ტელეგადაცემები ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის შემდეგ



გვ. 8

აშშ-ში ვიზიტი დასრულდა

ამერიკის შეერთებულ შტატებში დასრულდა საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის სამუშაო ვიზიტი, რომელსაც უკვე ცალსახად შეიძლება მიეცეს უმაღლესი შეფასება.

მნიშვნელოვანია, რომ ირაკლი ღარიბაშვილს, რომელიც ჯერ მხოლოდ სამი თვეა საქართველოს პრემიერ-მინისტრის პოსტზეა, უპრეცედენტოდ მაღალი რანგის შეხვედრები ჰქონდა შეერთებული შტატების ხელისუფლების ყველა შტოს წარმომადგენლებთან, მათ შორის: თეთრ სახლში, სახელმწიფო დეპარტამენტსა და კაპიტოლიუმში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია შეხვედრა პრეზიდენტ ბარაკ ობამასთან, რომელმაც ირაკლი ღარიბაშვილს და შესაბამისად საქართველოს სახელმწიფოს სრული მხარდაჭერა აღუთქვა და მადლობა გადაუხადა მეგობრული და სანდო პარტნიორული თანამშრომლობისათვის.

თეთრი სახლის რუზველტის დარბაზში შედგა შეხვედრა პრეზიდენტ ბარაკ ობამასა და ვიცე-პრეზიდენტ ჯოზეფ ბაიდენთან. შეხვედრაზე ამერიკის შეერთებული შტატების პირველმა პირებმა საქართველოს პრემიერ-მინისტრთან ერთად განიხილეს აშშ-საქართველოს სტრატეგიული თანამშრომლობის შესაძლებლობები, მათ შორის, სავაჭრო და საინვესტიციო ურთიერთობების გაღრმავების კუთხით.

აშშ-ის პრეზიდენტმა და ვიცე-პრეზიდენტმა ხაზგასმით დაადასტურეს აშშ-ის ურყევი მხარდაჭერა საქართველოს სუვერენიტეტისადმი. შეხვედრის შემდეგ თეთრმა სახლმა გამოაქვეყნა დოკუმენტი, რომელშიც ნათქვამია, რომ ამერიკის შეერთებული შტატები დახმარებას გაუწევს საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური და თავდაცვის რეფორმების განხორციელებაში.

საქართველოს სამთავრობო დელეგაციამ, პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით, აშშ-ის პრეზიდენტსა და ვიცე-პრეზიდენტთან შეხვედრის გარდა, გამართა ორმხივი შეხვედრები 30-ზე მეტ ყველაზე გავლენიან ამერიკელ პოლიტიკოსთან. მათ შორის არიან: შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი - ჯონ კერი; სენატორები - ჯონ მაკკეინი, როი ბლანტი, კარლ ლევინი, ჯეფ სეშენსი, დიკ დურბინი, აშშ-ის სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის წევრები, აგრეთვე კონგრესმენები - მაიკლ კონავეი, უილიამ კიტინგი, ტედ პო, ადამ კინზინგერი, დავინ ნუნიე, ადამ სმიტი, ნიტა ლოუისი, ელიოტ ენგელი, ედ როისი, ტედ დოიჩი, ნენსი პელოსის, სტენი ჰოიერი, მაიკლ კონავეი, მაიკლ ტერნერი, ბაკ მაკკეონი.

ვიზიტის პირველი შედეგი უკვე სახეზეა: ამერიკელმა კონგრესმენებმა დემოკრატიული და რესპუბლიკური პარტიიდან საქართველოს ნატოში გაწევრიანების მხარდამჭერი რეზოლუციის ინიცირება მოახდინეს და, როგორც თავად აღნიშნეს, საქართველოს საკითხზე ეს ერთობლივი საკანონმდებლო ინიციატივა პარტიათა შორის ურთიერთობის სანიმუშო მაგალითია. რეზოლუციის პროექტი - "ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერის დადასტურება საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანების საკითხზე" - უკვე წარედგინა კონგრესს განსახილველად.

რეზოლუციის პროექტში ნათქვამია, რომ შეერთებული შტატების წარმომადგენლობითი პალატა მხარს უჭერს საქართველოს მისწრაფებას გაწევრიანდეს ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში; აღიარებს ნატოს წევრ ქვეყნებსა და საქართველოს შორის უფრო მჭიდრო ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირების მნიშვნელობას.

აშშ-ში ვიზიტის ფარგლებში, ირაკლი ღარიბაშვილი ასევე შეხვდა „ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის" აღმასრულებელ დირექტორს დანიელ იოჰანესს, ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის წარმომადგენლებს, შეერთებული შტატების სავაჭრო წარმომადგენელს მაიკლ ფრომანს. ირაკლი ღარიბაშვილმა შეხვედრა გამართა ამერიკელ ბიზნესმენებთან და ისინი საქართველოში მიიწვია.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ასევე შეხვდა მსოფლიო ბანკის პრეზიდენტს ჯიმ იონგ კიმს, რომელმაც საქართველოსთან თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავების სურვილი გამოთქვა, მათ შორის, განათლების სფეროს მხარდაჭერისა და დახმარების კუთხით.

აღსანიშნავია საქართველო-ამერიკის სტრატეგიული თანამშრომლობის ქარტიის პლენალური სხდომა, რომელიც საქართველოს პრემიერ-მინისტრმა და აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჯონ კერიმ გახსნეს.

სხდომაზე, რომლის პირველი ნაწილიც ღია იყო მედიისთვის და პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა, აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მზად არის საქართველოს დახმარება გაუწაროდეს. "დღეს მე მინდა გამოვაცხადო დამატებითი დახმარების შესახებ, რომლის ფარგლებშიც შეერთებული შტატები ხელს შეუწყობს საქართველოს ევროატლანტიკურ ინტეგრაციას. პირველ რიგში, ეს არის ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლა და ე.წ. ბორდერიზაციის მიმართულებით ხელშეწყობა. ჩვენ ასევე მზად ვართ, საქართველოს დავეხმაროთ ეკონომიკური რეფორმის, ინვესტიციების, ვაჭრობის გაზრდის, კანონის უზენაესობის დაცვის კუთხით. ეს ხელს შეუწყობს ინვესტიციების მოზიდვას და ევროკავშირთან ინტეგრაციას. რა თქმა უნდა, ეს კიდევ უფრო გაზრდის საქართველოს რეპუტაციას. შეერთებული შტატები მზად არის აგრეთვე ვაჭრობის სფეროში უფრო ძლიერი თანამშრომლობისთვის".

ვიზიტის ფარგლებში პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი სიტყვით გამოვიდა ატლანტიკურ საბჭოში ფართო აუდიტორიის წინაშე, სადაც 200-ზე მეტი სტუმარი იყო მიწვეული.

,,დღევანდელი სავსე დარბაზი, ათასობით ტელე- თუ ონლიანმაყურებელი, ახალგაზრდა ლიდერის ნამდვილი აღიარებაა. ჩემთვის საპატიოა პრემიერ-მინისტრის წარდგენა, რომელთანაც უკვე რამდენიმეთვიანი ურთიერთობა მაქვს. დღეს ჩვენ შევიკრიბეთ, რათა საქართველოს ახალ პრემიერ-მინისტრთან ირაკლი ღარიბაშვილთან ერთად განვიხილოთ ის მნიშვნელოვანი მიღწევები და გამოწვევები, რომლებიც გველის. მე წილად მხვდა პატივი, შევხვედროდი მას მიუნხენში. სიამოვნებით წარმოგიდგენთ მას. პრემიერ-მინისტრი არის კოალიცია "ქართული ოცნების" თანადამფუძნებელი, იგი იყო შინაგან საქმეთა მინისტრი. დღევანდელ თანამდებობაზე მან უკვე წამოიწყო მნიშვნელოვანი რეფორმები, მათ შორის, წერტილი დაუსვა პატიმართა წინააღმდეგ არასათანადო მოპყრობას, გაანადგურა უკანონო ჩანაწერები და აკრძალა ხელისუფლებისადმი კრიტიკულად განწყობილთა პირადი ცხოვრების მიყურადება. მან დახურა სკანდალური რეპუტაციის მქონე ორი სამართალდამცავი უწყება და დანერგა უნარებისა და კვალიფიკაციის ტესტი სამინისტროთა თანამდებობის პირებისათვის".

ასე წარადგინეს საქართველოს პრემიერ-მინსიტრი ჩრდილოატლანტიკურ საბჭოში.

ირაკლი ღარიბაშვილს ასევე ჰქონდა საჯარო გამოსვლა კოლუმბიის უნივერსიტეტში, სადაც საზოგადოებას საქართველოს ხელისუფლების ხედვები და პრიორიტეტები გააცნო.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის პატივსაცემად პომპეზური ცერემონია გაიმართა არლინგტონის ეროვნულ სასაფლაოზე. საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების ორმხრივ ურთიერთობებს საქართველოს დელეგაციის დახვედრის ასეთი მასშტაბური ცერემონია არ ახსოვს. 330 ჯარისკაცი, საზეიმო ზალპები, საქართველოსა და აშშ-ის სახელმწიფო ჰიმნები, - სწორედ ასეთი ცერემონიით დახვდნენ საქართველოს პრემიერ-მინისტრს არლინგტონის ეროვნულ სასაფლაოზე, სადაც მან უცნობი ჯარისკაცის საფლავი გვირგვინით შეამკო.

ვიზიტის დასასრულს, საქართველოს პრემიერ-მინისტრი ქართული დიასპორის წარმომადგენლებს შეხვდა და მათ საქართველოში მიმდინარე რეფორმებზე დანვრილებითი ინფორმაცია მიანოდა.

თინა ხიდაშელი აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშს აფასებს

საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერის, თინა ხიდაშელის შეფასებით, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი ადამიანის უფლებათა შესახებ ანგარიშში პოლიტიკურ დევნასთან დაკავშირებით მხოლოდ იმ ფორმულირებით შემოიფარგლება, რომ აღნიშნულის შესახებ "ნაციონალური მოძრაობის" წევრები საუბრობენ.

როგორც ხიდაშელმა საკითხის კომენტირებისას ჟურნალისტებს განუცხადა, პოლიტიკური დევნის თემა აღნიშნულ კონტექსტს არ სცდება.

"როგორც ყოველთვის, სახელმწიფო დეპარტამენტის ადამიანის უფლებათა ანგარიში ყველა ასპექტს განიხილავს, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ, რამდენიმე წინა ანგარიშისგან განსხვავებით, პოლიტიკურ დევნასთან დაკავშირებით წელს საუბარია მხოლოდ იმაზე, რომ ისმის ბრალდებები "ნაციონალური მოძრაობის" მხრიდან. მასში არ არის ნათქვამი იმის შესახებ, რომ ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი ადასტურებს ამ ბრალდებებს და შესაბამისად, მიმართავს საქართველოს ხელისუფლებას, არ დაუშვას პოლიტიკური დევნა. ასეთი საუბარი ანგარიშში არ არის და მხოლოდ ისაა აღნიშნული, რომ სახელმწიფო დეპარტამენტს ესმის "ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენელთა ბრალდებები აღნიშნულთან დაკავშირებით. რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ამ კონტექსტს არ გასცდენია შენიშვნა ამ მიმართულებით", - აღნიშნა ხიდაშელმა.

ემზარ კვიციანი დააკავეს

კოდორის ხეობაში პრეზიდენტის ყოფილი რწმუნებული ემზარ კვიციანი დააკავეს. - ამის შესახებ ,,მედიანიუსს" შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა ნინო გიორგობიანმა აცნობა.

არსებული ინფორმაციით, მისი დაკავება თბილისის საერთაშორისო აეროპორტში მოხდა.

თვითმფრინავი, რომლითაც ემზარ კვიციანი თბილისში დაბრუნდა, აეროპორტში ცოტა ხსნის წინ დაეშვა.

საზოგადოებრივი მაუწყებლის ინფორმაციით, აეროპორტის ტერიტორიაზე უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომები მიღებული არ ყოფილა.

კვიციანს აეროპორტში ნათესავები და მეგობრები დახვდნენ.

ემზარ კვიციანი, რომელმაც რუსეთში დეპორტი მიიღო, საქართველოში ძებნილად 2006 წლიდან არის გამოცხადებული. მას სამხედრო ამბოხებასა და ტერორისტული აქტების მოწყობაში ედება ბრალი.

ვაშლოვანში გაჩენილი ხანძრის გამო მწყემსი დაჯარიმდა

ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე, ე.წ. „ნათლისწყლის ხეობაში" დაახლოებით 1 000 ჰექტრამდე საძოვარი დაიწვა. ინფორმაციას ნაკრძალის ადმინისტრაციაში ადასტურებენ. მათი განცხადებით, ცეცხლი სავარაუდოდ, მწყემსების მიერ გაჩნდა, რაც ბოლო დროს გახშირდა.

ადმინისტრაცია დამნაშავე მწყემსის ვინაობასაც აკონკრეტებს. მათი მტკიცებით სამართალდამრღვევ ნოდარ ჯიხიაშვილის ცეცხლთან გაუფრთხილებელი მოპყრობის შედეგად გაჩნდა ხანძარი, რომელიც ლიკვიდირებული იქნა ადმინისტრაციის დაცვის თანამშრომლებისა და სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ.

მწყემსის მიმართ უკვე შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი ამავე კოდექსის 76-ე მუხლის მეორე ნაწილით, რაც 200 ლარამდე ჯარიმას ითვალისწინებს.

ვაშლოვანის კომპლექსური ნაკრძალი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, შირაქის ზეგანზე, საქართველოს უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში, თბილისიდან 200 კმ-ში მდებარეობს. ნაკრძალად გამოცხადდა 1935 წელს. საერთო ფართობია 4,868 ჰა, ტყით დაფარულია 4.032 ჰა, დანარჩენი ნაწილი ველებს, უდაბნოს, ხევებს და ალესილებს უჭირავს. ვაშლოვანი უნიკალური მცენარეებით გამოირჩევა.

ილია მარტყოფლიშვილი

„ქართული ოცნების" თავმჯდომარედ დედოფლისწყაროში ზვიად ჯავახიშვილი აირჩიეს

ქალაქ დედოფლისწყაროში 21 თებერვალს „ქართული ოცნების" დედოფლისწყაროს რაიონული ორგანიზაციის ყრილობა გაიმართა. სხდომას, რომელიც ახალ სპორტულ დარბაზში ჩატარდა, დელეგატები მუნიციპალიტეტის ყველა სოფლიდან ესწრებოდნენ.

რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარედ კვლავაც ზვიად ჯავახიშვილი აირჩიეს, ის მანამდეც ამ პოზიციას იკავებდა, თუმცა თავმჯდომარეობამდე დედოფლისწყაროს სახანძრო-სამაშველო სამსახურის უფროსი გახლდათ.

როგორც სხდომაზე აღინიშნა, ზვიად ჯავახიშვილი „ქართული ოცნების" დედოფლისწყაროს ორგანიზაციას მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში უხელმძღვანელებს.

„ნაციონალურ მოძრაობას" დედოფლისწყაროში კვლავ ლევან ბაღაშვილი უხელმძღვანელებს

„ნაციონალური მოძრაობის" დედოფლისწყაროს ორგანიზაციის თავმჯდომარედ კვლავაც ლევან ბაღაშვილი აირჩიეს. რაიონული კონფერენცია პარტიის დედოფლისწყაროს ოფისში 11 თებერვალს გაიმართა, რომელსაც გიორგი ღვინიაშვილი, ირმა ნადირაშვილი, ზურაბ მელიქიშვილი და გიორგი ბოტკოველი ესწრებოდნენ. კონფერენციაში მონაწილეობა დედოფლისწყაროს სოფლებიდანაც მიიღეს. მასზე დასასწრებად არ ჩამოსულა დედოფლისწყაროს მაჟორიტარი დეპუტატი, პარლამენტის წევრი ზაზა კედელაშვილი.

პარტიის ლიდერები აცხადებენ, რომ თვითმმართველობის არჩევნებისთვის მზადება დაიწყეს და გამგებლობის კანდიდატებს ხალხთან ერთად შეარჩევენ.

შეგახსენებთ, ლევან ბაღაშვილი 2008-2010 წლებში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლად მუშაობდა, ხოლო 2010-2012 წლებში დედოფლისწყაროს საკრებულოს თავმჯდომარის პოსტს იკავებდა. მან თანამდებობიდან გადადგომის შესახებ განცხადება 2012 წლის 21 ნოემბერს, საპარლამენტო არჩევნებში „ნაციონალური მოძრაობის" დამარცხების შემდეგ დაწერა. ბაღაშვილმა ღიად განაცხადა, რომ ეს ნაბიჯი თანაგუნდელების უსაფრთხოების მიზნით გადადგა, თუმცა საჭიროების შემთხვევაში ის კვლავაც აქტიურ მუშაობას გეგმავდა.

ლევან ბაღაშვილი საკრებულოს დეპუტატის მანდატს კვლავაც ფლობს. რამდენიმე თვის წინ ის დედოფლისწყაროს საკრებულოში ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარედ აირჩიეს, თუმცა მას ფრაქციაც დაეშალა.

ხორნაბუჯში 10 წლის გოგონას ავტომანქანა შეეჯახა

ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა დედოფლისწყაროში. სოფელ ხორნაბუჯში, რუსულ-ქართული საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე 10 წლის გოგონას ავტომანქანა შეეჯახა, რომელმიც მცირედ დაშავდა.

„შირაქის" ინფომაციით, ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად ორი ავტომობილი დაზიანდა. მერსედესისა და ვოლკსვაგენ გოლფის ტიპის ავტომანქანები ევაკუატორის დახმარებით საჯარიმოზე გადაიყვანეს.

თვითმხილველების განმარტებით, ერთ-ერთი ავტომობილი ჯერ ბავშვს დაეჯახა, შემდეგ არიდების დროს სხვა ავტომანქანას დაარტყა, ბოლოს კი ბოძს შეეჯახა.

როგორც დედოფლისწყაროს საავადმყოფოში აცხადებენ, მოზარდის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება და ვითარება სტაბილურია.

შსს-ს პრესცენტრში განმარტავენ, რომ მომხდარზე გამოძიება 276-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს. საქმეს კახეთის საპატრულო პოლიცია იძიებს. მძღოლს ალკოჰოლური თრობა არ აღენიშნებოდა.

276-ე მუხლის I ნაწილი გულისხმობს ავტომობილის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას, რამაც გამოიწვია ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება, — ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით.

ილია მარტყოფლიშვილი

"გაზაფხული შემოსულა, ლენ"...

1991 წლიდან საქართველოში ქვეყნის პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ინიციატივით 3 მარტს დედის დღეს აღნიშნავენ და უქმედაა გამოცხადებული. მაშინ ფიქრობდნენ, რომ დედის დღე საქართველოში 8 მარტს ჩაანაცვლებდა, მას შემდეგ 23 წელი გავიდა, მაგრამ დღემდე ორივე დღესასწაული ოფიციალურად აღინიშნება.

1910 წელს გავლენიანი სოციალისტის კლარა ცეტკინის მიერ კოპენჰაგენში გამართულ ქალთა საერთაშორისო კონფერენციაზე 8 მარტი ქალთა საერთაშორისო სოლიდარობის დღედ გამოცხადდა, 1975 წლიდან კი 8 მარტი ოფიციალურ დღესასწაულად რჩება ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც.

გაზაფხულის ამ ორივე დღეს ქალბატონები განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში არიან, მათი დილა ძირითადად თაიგულის მირთმევით იწყება, მაგრამ, უფრო კონკრეტულად რომ გაგვეგო, თუ რას ფიქრობენ თავად ისინი ამ დღეებზე, თვლიან თუ არა საჭიროდ, ზედიზედ ორი დღესასწაულის მათთვის მიკუთვნებას, ირღვევა თუ არა ამ დროს გენდერული ბალანსი, როდესაც კალენდარში აღარსად მოინიშნება ე. წ. "მამაკაცთა დღე", ჩვენ გავესაუბრეთ სხვადასხვა ასაკის და პროფესიის ქალბატონებს:

ელენე, 35 წლის, პედაგოგი, -რა თქმა უნდა, ძალიან სასიამოვნოა, ნებისმიერ დღესასწაულს განსაკუთრებული განწყობით ვხვდებით ადამიანები, მითუმეტეს ქალები, ჩვენი ბუნება ხომ სინაზით გამოირჩევა და მუდმივად სითბოს და ყურადღებას მოითხოვს მამაკაცთა მხრიდან, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ზედმეტად მიმაჩნია ასე ორ დღედ გამოყოფა, ვფიქრობ, ერთიც საკმარისია.

სალომე, 23 წლის, იურისტი-ჩემი აზრით, ქალებისთვის ორი დღის უქმედ გამოცხადება სრული ანაქრონიზმია და იმედია, ასე დიდხანს აღარ გაგრძელდება, მითუმეტეს იმ ფონზე, როცა მამაკაცებისთვის, რომლებიც ქვეყნის სამსახურში დგანან სამშობლოს სადარაჯოზე, რომლებიც მამები და მეუღლეები არიან, არცერთი დღე აღარ დარჩა, მათთვის უფრო მეტი ყურადღების გამოსახატავად. ალბათ, უფრო მართებული იქნებოდა, ყველა ქალისთვის, ის არის თუ არა დედა, ერთ დღეს აღინიშნებოდეს ქალთა დღესასწაული. ის, ვინც არ ან ვერ გახდა დედა, არ უნდა იყოს დისკრიმინირებული დედის დღესასწაულისგან. თუმცა, მაინც მგონია, ისევე როგორც სიყვარულის დღე, ქალთა დღესაც გამოყოფა არ სჭირდება, ის წელიწადის 365 -ივე დღესაა. ამ დღით თაიგულის თუ საჩუქრების მოლოდინში მყოფ ქალბატონებს კი თითქოს აკნინებს კიდეც გარკვეულწილად მატერიალურისადმი გამოჩენილი ინტერესი.

რუსუდანი, 50 წლის, ექიმი- რატომაც არა, ორი დღე არც არის საკმარისი ქალბატონებისთვის, რომლებმაც უკვე დიდი ხანია დაამტკიცეს, რომ მამაკაცებს არაფრით ჩამოუვარდებიან, არც საქმით, არც სამშობლოს სიყვარულით და არც ერთგულებით. რაც შეეხება მამაკაცთა დღეს, კი ბატონო, მივესალმები, თუკი მათთვისაც დაწესდება რომელიმე დღესასწაული.

ციცია, 48 წლის, ჟურნალისტი- დიდი ხანია, დროა, კლარა ცეტკინისეული დღესასწაულები გავაუქმოთ ქართული სინამდვილიდან და მის მაგიერ ჩვენი ღირსეული მამაკაცების დღე აღვნიშნოთ. ქართველი ქალბატონი ხომ მამაკაცის გარეშე მაინც სუსტია, ჩვენ ტრადიციულად მოგვდგამს ქალის მამაკაცზე დაყრდნობა და მასზე დამოკიდებულება.

აი ასე ფიქრობენ ჩვენი თანამოქალაქენი ქალთა დღესასწაულების შესახებ და ჩვენც გვაფიქრებინებენ, რომ დადგა დრო, დამთავრდეს ამ ორი დღესასწაულის დიფერენცირება, დავიცვათ თანასწორობა ამ საკითხში და სურვილი გამოვთქვათ, რომ წელიწადში ერთხელ აღინიშნებოდეს მამაკაცთა დღეც.

ელზა ხარაშვილი

ქალის ბედი საქართველოში

(პირველი გვერდიდან)

ხშირად დედ-მამის არაჯანსაღი ურთიერთობის მსხვერპლად გვევლინებიან, რომელთაც თავიანთი ცხოვრებით უნდა უხადონ ხარკი დედებს...

ყველა დედა არ იქცევა ეგოისტურად, მაგრამ ვერც მისი ცხოვრება იქცევა შვილისთვის მისაბაძად. შვილი რომ ასაკის მატებასთან ერთად ნელ-ნელა უცხოვდება, შორდება მშობელს, ეს ანბანური ჭეშმარიტებაა, მაგრამ ეს პროცესი ძალიან მტკივნეულად აისახება მაინც დედის სულზე, ცხოვრებაზე... დედების ერთ ნაწილს კი „ოთარაანთ ქვრივის" მსგავსად ახსოვს, რომ შვილს ესეც არ უნდა აგრძნობინოს, ისევ მასზე უნდა იზრუნოს...

ამ წერილში არ შეიძლება არ შევეხო ნაძალადევი ემიგრაციის თემას. ბევრი ქართველი დედაა წასული საზღვარგარეთ სამუშაოდ, რათა იქიდან უზრუნველყონ თავიანთი ოჯახის წევრები, შვილების სწავლა- განათლება დააფინანსონ, ეკონომიკური სტაბილურობა შეუქმნან... მაგრამ საკითხავია, რის ფასად უჯდებათ ეს ყველაფერი? შვილებთან განშორების, მათი ტკივილისა და სიხარულის გაზიარებასთან უარის თქმის, საყვარელი ადამიანების მონატრების, ბევრჯერ დაუმსახურებელი მოქცევის ფასად, როგორც დამქირავებლების, ისე ოჯახის წევრთა მხრიდანაც...

აღარაფერს ვამბობ ქალის როლზე პოლიტიკაში, რომელიც კვლავ უმნიშვნელოა. გენდერული ბალანსი შესამჩნევადაა დარღვეული ყველა დონის სტრუქტურაში. მშვენიერი სქესის წარმომადგენლებს საკრებულოებსა თუ პარლამენტში სამშვენისის ფუნქცია უფრო აქვთ, ვიდრე გადაწყვეტილებების მიმღების...

ასეთი ისტორიების მქონენი ბევრნი ცხოვრობენ საქართველოში. მართალია, 21-ე საუკუნემ თანასწორობის ცნებასთან ერთად ქალის როლის გაძლიერებაც მოიტანა, მათ შორის ჩვენს ქვეყანაშიც, მაგრამ რეგიონებში სიტუაცია კვლავ რთულია. უამრავი არასამთავრობო ორგანიზაცია ზრუნავს ძალადობის მსხვერპლ ქალთა დასახმარებლად, ქალის დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად, მაგრამ რეალურ შედეგამდე ჯერ შორია. ქალისა და დედისადმი ზრუნვა მხოლოდ ფურცელზე რომ არ დარჩეს, სამოქალაქო სექტორთან ერთად სახელმწიფომაც უნდა იზრუნოს. საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორების საბჭო ყველა სფეროში ქალისა და მამაკაცის თანაბარი მონაწილეობის წახალისების გზებს განიხილავს.

„ეს გულისხმობს ქალთა ძლიერ წარმომადგენლობას ადგილობრივ თვითმმართველობაში, ქალთა რაოდენობის ზრდის მიზნით ქვოტური სისტემის შემოღებას არჩევით თანამდებობესა თუ პოლიტიკური პარტიების სიებში და სხვა" - ამბობს გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე მანანა კობახიძე:

„ჩვენ ახლა ვმუშაობთ ახალ, 2014-2016 წლების სამოქმედო გეგმაზე. ძალიან მნიშვნელოვანია, სრულყოფილად გაკეთდეს მოქმედი კანონმდებლობის გენდერული ანალიზი. ყველა სამინისტროს აქვს ეს ვალდებულება, რომ ამა თუ იმ სფეროში მოქმედი გენდერული ანალიზი ჩატარდეს, ყველა სამინისტრომ უნდა დაგეგმოს საკუთარ სფეროში თუ რა ღონისძიებებს გაატარებს.

პირველ რიგში, ეს არის ყველა დონეზე ქალისა და მამაკაცის თანასწორობის დამკვიდრება. თანასწორობა ხომ ქალთა გაძლიერებასაც ნიშნავს. საუბარია ქალების მხარდაჭერაზე ეკონომიკური დამოუკიდებლობის მოპოვების თვალსაზრისით, იმიტომ რომ სოფლად, რეგიონებში ქალებს ეკონომიკური დამოუკიდებლობის თვალსაზრისით ძალიან სერიოზული პრობლემა აქვთ. თუნდაც ის, რომ მათზე არ აღირიცხება საკუთრება, თუნდაც ის, რომ მათ იგივე ფერმერულ მეურნეობებში არ აქვთ ის შესაძლებლობები, რაც აქვთ მამაკაცებს. ასევე, სესხების მიღების თვალსაზრისით, რომელიც მიმართული იქნება სოფლის მეურნეობის განვითარებაზე. ახლა დაწყებულია სოფლის მეურნეობის პროგრამები, ჩვენ უნდა გავაკეთოთ ანალიზი ამ პროგრამაში რამდენად ექნება ქალს მამაკაცის შესაბამისად შესაძლებლობა, მიიღოს ის სერვისები და შესაბამისად, მასაც ჰქონდეს ის შესაძლებლობები, რაც მამაკაცს, რომ სოფლის განვითარების პროგრამით თვითონაც მიიღოს სარგებელი.

კონსტიტუციის, კანონის დონეზე ჩვენი კანონმდებლობა არის აბსოლუტურად ნეიტრალური, საქართველოში კანონით ქალისა და მამაკაცის მდგომარეობა აბსოლუტურად არის დაცული. აქ საუბარია, პრაქტიკაში როგორ ხდება. ძალიან ხშირ შემთხვევაში მესაკუთრედ გვევლინება მამაკაცი, რაც ნიშნავს, რომ თუ განქორწინება მოხდა ან სხვა რაიმე მატერიალური დავა, ქალი რჩება აბსოლუტურად უუფლებოდ. ამიტომ, საჭიროა ცნობიერების ამაღლება, რომ ქალმაც იცოდეს, რა უფლებები აქვს. ჩვენი კანონი ამ მხრივ ძალიან დემოკრატიულია, არანაირი დისკრიმინაცია კანონში არ არის, უბრალოდ საუბარია, რომ ზოგიერთ სფეროში საჭიროა ქალების გაძლიერება".

შეხვედრაზე, სადაც ეს ინიციატივა განიხილეს, მონაწილეებმა დასვეს არაერთი აქტუალური საკითხი, მაგალითად მამაკაცთა დეფიციტი სკოლებში. მიუხედავად საქართველოში არსებული თითქმის ტოტალური უმუშევრობისა, მამაკაცები სკოლებში არ მიდიან, რასაც, რა თქმა უნდა, თავისი მიზეზები გააჩნია. იმსჯელეს ამ მიზეზებზე და ქალთა დახმარებაზე ტექნიკური პროფესიების დაუფლებაში და ა.შ. შეხვედრაზე გაჟღერდა წინადადება მწერლების, სცენარისტების წახალისების შესახებ, რომლებიც სცენარში თუ მოთხრობაში გენდერული თანასწორობის თემას წამოწევენ.

თუ რას გულისხმობს ეს ინიციატივა, ამის შესახებ არასამთავრობო ორგანიზაცია "გენდერული სამართლიანობის" ხელმძღვანელი რუსუდან კერვალიშვილი ამბობს:

"- აქ საუბარია კულტურაზე. თავისთავად გენდერის საკითხის მიმართ ცნობიერების ამაღლება გადამწყვეტად მნიშვნელოვანია, რადგან კულტურა და განათლება ცვლის ჩვენს ცნობიერებას. ამიტომ, ამ ნახალისებასთან დაკავშირებით კონკრეტულად საქმე ეხება ცნობიერების ამაღლებისთვის ისეთი ნაშრომის შექმნას, რომელიც საზოგადოებას მოუტანს ცნობიერების ამაღლებას.

ოჯახში, ოჯახური ძალადობა, საზოგადოებაშიც არის გამეფებული სხვადასხვა ფორმის ძალადობა. საქართველოს ტრადიცია, ერის, რომელსაც აქვს არაჩვეულებრივი ისტორია, კულტურა, ჰყავს ძალიან დიდი ჰუმანისტები თავის ისტორიაში, შეუძლებელია, რომ ქვეყანას, რომელსაც "ვეფხვისტყაოსნის" გამოცდილება აქვს, იმ ქვეყანაში წახალისებადი იყოს ქალის მიმართ ფიზიკური ძალმომრეობა და ძალადობა."

ძვირფასო დედოფლისწყაროელო ქალბატონებო, განურჩევლად ყველას გილოცავთ გაზაფხულს და ქალთა დღესასწაულებს, დაე, თქვენი ცხოვრება სავსე იყოს ნათელი დღეებითა და საყვარელი ადამიანების გაცისკროვნებული სახეებით!

ინგა შიოლაშვილი

აშექალის გასაჭირი

79 წლის აშექალ ფიცხელაური დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ გამარჯვებაში მარტოდმარტო ცხოვრობს. მისი ერთოთახიანი მომცრო ზომის სახლი საშინლად ავარიულია. ძნელად თუ წარმოვიდგენდი, რომ ალიზით ნაგებ სახლში ვინმე ამ საუკუნეში საყოველთაო ცივილიზაციის დონეზე კიდევ იცხოვრებდა, თუმცა მის ეზოში სტუმრობისთანავე მძიმე საცხოვრებელი პირობების მომსწრე ვხდები.

არც იმას მალავს, რომ ცხოვრება მობეზრდა, აღარც ქალთა დღე ახარებს და არც სხვა დღესასწაულები. მისთვის ცხოვრების სილამაზე გაცრეცილია. ამბობს, რომ თვითმკვლელობაზეც ხშირად ფიქრობს, თუმცა, ვერ რისკავს. მარტის დადგომასთან ერთად, მისი ცხოვრებით დავინტერესდით და აშექალის გასაჭირი საკუთარი თვალით ვნახეთ.

მოხუცი ქალბატონი სიღატაკის ზღვარს ქვემოთ მყოფთა სახელმწიფო პროგრამის ერთიან ბაზაშია რეგისტრირებული და აქამდე ყოველთვიურად 30 ლარს იღებდა, რომელიც ახალმა ხელისუფლებამ გაუორმაგა და შედარებით კმაყოფილია.

ეზოში შეშა საკმაოდ ყრია, ზემოდან გადაფარებულია, ეზოც საგულდაგულოდაა მოვლილი. თუმცა, ის, რომ შეშის მარაგი აქვს, იმას სულაც არ ნიშნავს, რომ მის მომცრო სახლში გათბობის პრობლემა მოგვარებულია. სამაგიეროდ კედლებია დახეთქილი და ფანჯრებზე შუშის ნაცვლად ცელოფნებია აკრული. მოგეხსენებათ, ეს კი სითბოს შენარჩუნებას ხელს უშლის.

„ქათმები მყავდა, ისინიც მოვიშორე.. აღარაფერი არ გამაჩნია... საკვების მომარაგებაც მიჭირს, რადგან ამასწინათ ფეხი მოვიტეხე და სიარული გამიძნელდა. პურს ვყიდულობ, ცარიელი პური ხომ არ უნდა ვჭამო, სატანიც ხომ უნდა... სოციალურ დახმარებას 60 ლარს მაძლევენ, პენსიასაც ვიღებ, მაგრამ არ მყოფნის," - გვიმხელს მასპინძელი.

მასთან საუბრისას გაირკვა, რომ თელავიდან გადმოსახლებულა. ასაკი თავს იჩენს და ჩემი კითხვის მიუხედავად, უჭირს გაიხსენოს, რომელ წელს დასახლდა ამ სოფელში.

„სოფელ გამარჯვებაში თელავის რაიონიდან ჩამოვსახლდი და ეს ბინა ვიყიდე, თუმცა, რომელ წელს გადმოვედი, აღარ მახსოვს. სახლი ისე დაძველდა, ხომ ხედავთ, რომ კედლები დაბზარულია. შეიძლება უცებ კედლები გადაინგრას და ცოცხლად დავიმარხო. არც ვიცი, რა უნდა გაკეთდეს, ვის უნდა მივაკითხო და როგორ გამაგრდეს. მეც არ ვიცი, როგორ მოგიყვეთ ჩემი გასაჭირი, ღამე რომ დავიძინებ, ის არ ვიცი, ცოცხლად გავიღვიძებ, თუ არა... ერთი ძველი ვაგონი მაინც დამიდგან, რომ უსაფრთხოდ ვიცხოვრო. მაინც რამდენ ხანს ვიცოცხლებ, მათხოვონ ცოტა ხნით და რომ მოვკვდები ის ხომ აქ დარჩება. თავს ვაგონს შევაფარებდი, წვიმაში სულ შიგნით ჩამოდის და საწოლზე დაედინება. აღარც ჭერის ჩამოქცევის საფრთხე დამიკარგავდა ძილსა და მოსვენებას.

არავინ მყავს ნათესავი და გულშემატკივარი, არც გათხოვილი ვყოფილვარ. მხოლოდ და მყავს, გათხოვილია, თავისი ოჯახი და პრობლემები აქვს. ვცხოვრობ ასეთ რთულ პირობებში მარტოდმარტო. ხმის გამცემიც არავინ მყავს, ხანდახან მეზობლები თუ შემოიხედავენ ხოლმე.

გული მაწუხებდა, კარდიოგრამა გადამიღეს, გულით ავადმყოფი ვარ. ფეხი რომ მოვიტეხე, ლაგოდეხში და წნორში მატარეს. სადაზღვევო პოლისი მქონდა და ფული არ დამეხარჯა, მაგრამ წამლების შეძენა ხომ მინდოდა, მანქანა დავიქირავე და მთელი პენსია ასე დამეხარჯა. აი, დღეს პური გამოვიტანე, ის ფული ისევ მისაცემი მაქვს. მომბეზრდა ცხოვრება, ვერც თავ მომიკვლია და ალბათ, ქოხი მაინც ჩამიტანს ერთხელაც. თავის მოკვლა მართლა მინდოდა, მაგრამ ვერ გავბედე," - გულწრფელად გვიამბობს აშექალ ფიცხელაური.

როგორც სოფელ გამარჯვების ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული გიორგი ჭინჭარაული გაზეთ „შირაქთან" საუბრისას აცხადებს, აშექალ ფიცხელაური ხელისუფლების ყველა იმ სიკეთით სარგებლობს, რომელიც ამ კატეგორიის ადამიანებისთვისაა განკუთვნილი.

- „შეშისთვის განკუთვნილი დახმარება -100 ლარი მიიღო შარშანაც და წელსაც. უყურადღებოდ დატოვებული ნამდვილად არ გვყავს, შეძლებისდაგვარად ვცდილობთ, ხშირად დავეხმაროთ," - აცხადებს გიორგი ჭინჭარაული.

ილია მარტყოფლიშვილი

25 წელი პირადობის მოწმობის გარეშე

გაჭირვება და გაჭირვებული ოჯახები რომ დღეს ჩვენს ქვეყანაში უცხო აღარაა, ეს უკვე კარგად გვაქვს გათავისებული, თუმცა, იმ ამბის გაგება, რომ ვინმეს 25 წლის მანძილზე პირადობის დამადასტურებელი მოწმობა სიღარიბის გამო არ ჰქონდეს, ალბათ, ყველას გააკვირვებს. სოფელ საბათლოში მცხოვრები აგამამედ აშიროვების რვასულიანი ოჯახი სწორედ ამ რეალობის წინაშე 25 წელია დგას. მიზეზი უამრავია, თუმცა, უპირველესი მაინც ეკონომიური სიდუხჭირე გახლავთ.

-„წლების მანძილზე უკიდურეს გაჭირვებაში ვართ, არც სოციალურ დახმარებას არ გვაძლევდნენ პირადობის უქონლობის გამო, ჩვენი ქალიშვილიც, მისი შვილიც და სიძეც ჩვენთან ცხოვრობენ, მათაც ძალიან უჭირთ და ჩვენი სარჩენები არიან, სიძე მეორე ჯგუფის ინვალიდია, წელიწადი და 2 თვე იმუშავა იორმუღანლოში მწყემსად , წესით 4500 ლარი ეკუთვნოდა ამ სამუშაოში, მაგრამ ისე გამოუშვეს, რომ თანხა არ მისცეს და უთხრეს, პირადობაც არ გაქვს, წადი და სადაც გინდა იჩივლეო, ბავშვიც სულ ავად გვყვავს, ბაღში მშობლების საბუთების არქონის გამო არ იღებენ და ვერც ექიმთან წაგვიყვანია, იმის გამო რომ მშობლებს პირადობები არ აქვთ, ბავშვს ვერანაირი პოლისი ვერ მისცეს. პირადობების არქონა ყველგან და ყველაფერში ხელფეხს გვიბოჭავდა. ჩემი მეუღლე ახლახანს გავიდა ჩვენს სოფელში სხვისი საქონლის მწყემსად, 150 ლარს მისცემენ და გვიხარია, ჩვენი შემოსავალი ვიღაცის ნაკვეთში თოხზე და ბარზე მუშაობით აღებული ფულია. თვიდან თვემდე ფქვილს ძლივს ვყიდულობთ, ჭამაზე ძლივს გავდივართ,

ჩვენი სოფლის წინა რწმუნებული დავით გუნდაძე ცნობას არ გვაძლევდა სოფლიდან, რომ საპასპორტოში წარმოგვედგინა და პირადობა აგვეღო. თითქოს ბედიც და იღბალიც ჩვენს წინააღმდეგ თამაშობს, ერთმანეთზე აუყვა და გადაიჯაჭვა ყველაფერი, პირადობა რომ არ გვაქვს, სოფელში რასაც არიგებდნენ, სახელმწიფოდან დახმარებას ვერაფერს ვიღებდით, თითქოს ძაღლები ვიყოთ , არაფრად გვაგდებდა არავინ, ახლაც ასე გრძელდება, მიწის ვაუჩერებს რომ არიგებენ, ჩვენც გვაქვს მიწის ნაკვეთი, მაგრამ პირადობის არ ქონის გამო ამჯერადაც ვერ ვიღებთ სასოფლო სამეურნეო ბარათს. მხოლოდ ახლაღა გამოჩნდა ღვთისნიერი ხელმძღვანელობა და მთავრობა, გაიგეს თუ არა ჩვენი მდგომარეობა, მაშინვე დახმარების აღმოჩენაზე დაიწყეს ფიქრი. გვეხმარებიან, რომ ოჯახის ყველა წევრმა პირადობის მოწმობები ავიღოთ.რისთვისაც მადლობა გვინდა გადავუხადოთ გამგებლის რწმუნებულს სოფელ საბათლოში კარმენ მუსაელიანს, სკოლის დირექტორს გულო ჩოუშიანს, დაცვის პოლიციის თანამშრომელს გეორქ ჩოუშიანს, საპასპორტოს თანამშრომელს ეთერ შაიშმელაშვილს დიდი ყურადღებისთვის, მადლობა რაიონის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელს გივი გიგაურს და ყველას, ვინც წვლილი შეიტანა ჩვენს მცირედით ყურადღების მოქცევაში და დახმარებაში" -აცხადებს ჩვენთან საუბარში ოჯახის დიასახლისი მარინა აშიროვი და გვთხოვს, რომ ჩვენი გაზეთით საშუალება მივცეთ, მადლობა გადაუხადოს ყველა ზემოთ ჩამოთვლილ პირს, რომლებიც მათ დაეხმარნენ პირადობის მოწმობების აღებაში.

იმედს ვიტოვებთ, ამგვარად გაჭირვებული და პირადობების გარეშე მყოფი ადამიანები ჩვენს ქვეყანაში აღარ იქნებიან.

ლალი მეხრიშვილი

სიბერე ცხოვრების საჩუქარია!

ჩემი ფიქრები

სარკე შემახსენებს ხოლმე ხანდახან- რაო ლამაზი, ხომ არ დაბერდი? ჰო, ჩემი სხეული ხანდახან მახსენებს, რომ ასაკი არ მაკლია, მაგრამ... გული არ ბერდება! გულწრფელად გითხრათ, სულაც არ მიჩნდება სურვილი, ახალგაზრდობის წლები დავიბრუნო, რადგან სიბერე ხომ მთელი განვლილი ცხოვრების შეჯამებაა!

არც კი მჯერა, რომ უკვე სამოცდაათი წლის ვარ. როგორ ველოდი ამ თარიღს. მინდოდა, გამორჩეულად აღმენიშნა ეს საიუბილეო წელი-შემეკრიბა ყველა ის ადამიანი, ვინც მიყვარს და ვისაც ვუყვარვარ, ახლობლები, მეზობლები, თანამშრომლები, ნათელ-მირონები, ადამიანები, ვინც ოდნავ მაინც ხელი შემაშველა ცხოვრების რთულ გზაზე არა მხოლოდ მე, არამედ ჩემს საყვარელ გაზეთ „შირაქსაც“, რომელთანაც უწყვეტად არის დაკავშირებული ჩემი ცხოვრების 43 წელი. მაგრამ, ხომ გაგიგონიათ „კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო.“ ასე დამემართა მეც. სრულიად მოულოდნელად ჩემს მეუღლეს ინსულტი განუვითარდა, ახლა თბილისში, ერთ-ერთი მაღალი კლასის საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაში წევს და... ჩვენ მისი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის თავდაუზოგავად ვიბრძვით, ამ მძიმე დღეებში უფრო მეტად მომეძალა ფიქრი ცხოვრებაზე, ასაკზე, თუნდაც სიბერეზე... ვცდილობდი ჩავწვდომოდი ადამიანების მიერ განვლილი ცხოვრების არსს. სიბერის ზღვარზე ვდგავარ და ვფიქრობ მის რაობაზე. ჩემი აზრით, სიბერე ცხოვრების საჩუქარია. მგონი პირველად ვიგრძენი, რომ ახლა ვარ ის ადამიანი, რომლისკენაც მთელი ცხოვრება ვისწრაფვოდი, საუბარი არ ეხება ჩემს სხეულს, რა თქმა უნდა, ხანდახან სწორედ ეს სხეული მაგდებს სასოწარკვეთაში-ნაოჭები, თვალის ქვეშ შავი ხაზები, ხელის მტევნებზე გაჩენილი პატარა ყავისფერი ლაქები. ხშირად იმ ხანდაზმული ქალის დანახვაც კი არ მინდა, ჩემს სარკეში რომ ჩასახლდა და იქიდან იმზირება, მაგრამ ეს განცდები დიდხანს არ გრძელდება. არასოდეს დავთანხმდები, გავცვალო ჩემი საოცარი მეგობრები, ჩემი მშვენიერი ცხოვრება, ჩემი საყვარელი ოჯახი ახალგაზრდულ წლებსა და მოხდენილ სხეულზე. რაც უფრო მემატება ასაკი, მით უფრო კეთილი და ნაკლებად კრიტიკული ვხდები. ჩემი თავის მეგობარი მე ვარ და არ ვიტანჯები იმის გამო, რომ ზედმეტი კილოგრამები მომემატა, ან საწოლი აულაგებელი დამრჩა. ამ ცხოვრებიდან ჩემი ბევრი მეგობარი ძალიან ადრე წავიდა და უკანასკნელ გზაზე გავაცილე. მათ ვერ შეიგრძნეს ის უდიდესი თავისუფლება, რასაც სიბერე გაძლევს.

ვინ უნდა გამკიცხოს იმის გამო, რომ შუაღამემდე ვუყურებ ტელევიზორს ან ვკითხულობ და მერე გვიანობამდე მძინავს, ჩემს თავს თვითონ ვეცეკვები, ვმღერი ან ლექსს ვკითხულობ სარკეში, 70-იანი წლების შესანიშნავ მელოდიებს ვუსმენ და თუ ხანდახან მინავლული სიყვარულის გამოტირება მომინდება, ვიტირებ კიდეც, მაგრამ სიბერეს ერთი მინუსიც აქვს. ბევრი რამე მავიწყდება. თუმცა, გამოსავალი აქაც არის-ცხოვრებაში ყველაფრის დამახსოვრება არ არის აუცილებელი. რა თქმა უნდა, სიცოცხლის მანძილზე ბევრჯერ მტკენია გული, როგორ შეიძლება არ იდარდო, როცა კარგავ საყვარელ ადამიანს,როცა ბავშვი ავადმყოფობს, ან როცა საყვარელ ადამიანს რაღაც უჭირს, მაგრამ სწორედ ეს გადატანილი განცდები გვეხმარება, აღმოვაჩინოთ საკუთარ თავში ძალა და ენერგია, შევძლოთ თანავუგრძნოთ სხვას.

ბედის მადლობელი ვარ, რომ სიბერეს მოვესწარი, მივაღწიე იმ ასაკს, როდესაც, ახალგაზრდობაში გულიანი სიცილის ადამიანს არ უცინია გულიანად და ისე დატოვა ეს მშვენიერი სამყარო. რაც უფრო ასაკში შედიხარ, უფრო ნაკლებად გაღელვებს ის, თუ რას ფიქრობენ შენზე და აქედან გამომდინარე, უფრო თამამად შეგიძლია თქვა რამეზე „არა“ ან „დიახ“, რადგან საკუთარ თავში ეჭვი აღარ გეპარება. მე უკვე შეცდომის დაშვების სრული უფლებაც მოვიპოვე.

ასე, რომ შემიძლია ვთქვა:

ძალიან მომწონს ჩემი ასაკი. სიბერემ გამათავისუფლა კომპლექსებისგან და შემიყვარდა ის ადამიანი, რომელიც ახლა ჩემში ცხოვრობს. ყვავივით ორასს წელს ვერ ვიცოცხლებ, მაგრამ სანამ ამქვეყნად ვარ, სულაც არ ვაპირებ იმაზე ვიდარდო, რა უნდა მომხდარიყო, მაგრამ არ მოხდა.

მართალია, ახლა უკვე ხშირად უარის თქმა გვიხდება საჭმელზეც, რომელიც მთელი ცხოვრება გვიყვარდა, ფიზიკურ სიამოვნებასა და სიხარულს სულ უფრო იშვიათად ვგრძნობთ და ამ სიამოვნებისთვის სულ უფრო ძვირი უნდა გადავიხადოთ. და შემდეგ იქნება ყოველგვარი სნეულება და ავადმყოფობა, გრძნობების დაჩლუნგება, ორგანოების დასუსტება და ათასნაირი ტკივილი, განსაკუთრებით ღამ-ღამობით, ხშირად ასე ხანგრძლივი და საშინელი-ამ ყველაფერს თავს ვერ დაარწევ, ეს მწარე სინამდვილეა, მაგრამ საცოდაობა და სამწუხარო იქნებოდა, რომ მარტოოდენ დაკნინების, დაცემის პროცესს მისცემოდი და ვერ დაგენახა, რომ სიბერესაც აქვს თავისი კარგი მხარეები, უპირატესობა, თავისი ნუგეში და სიხარული...როცა ორი მოხუცებული ერთმანეთს ხვდება, მათ მხოლოდ წყეულ წნევაზე, დაძაბუნებულ სხეულსა და კიბეზე ასვლისას ამტყდარ ქოშინზე კი არ უნდა ილაპარაკონ, არამედ სასიამოვნო შეგრძნებასა და შთაბეჭდილებებზე, ასეთი კი, მრავლადაა წარსულში და თუნდაც დღევანდელობაში. ვცდილობ, იოლად და მარტივად შევხედო ცხოვრებას, როცა შეგახსენებთ მოხუცთა ცხოვრების ამ დადებითსა და შესანიშნავ მხარეზე, იმაზე, რომ ჩვენ, ჭაღაროსნებს, გვსმენია ძალის, მოთმინების, სიხარულის ისეთი წყაროების შესახებ, რომლებიც ახალგაზრდების ცხოვრებაში არავითარ როლს არ ასრულებენ. შემიძლია, ჩამოვთვალო რაღაც საჩუქრები, რომლებიც ჩვენთვის სიბერეს მოაქვს. მათგან ჩემთვის ყველაზე ძვირფასია საგანძური იმ სურათებისა, რომლებიც ხანგრძლივი ცხოვრების შემდეგ აღგბეჭდვიათ გონებაში და რომლებსაც, როცა შენი აქტიურობა ცხრება, სრულიად სხვა თანაგრძნობით უმზერ, ვიდრე ოდესმე წინათ. იმ ადამიანთა ხატებანი და სახეები, რომლებიც უკვე ათეული წლებია, რაც ამ ქვეყნიდან წავიდნენ, მაგრამ ისევ ჩვენთან არიან და ცოცხალი თვალებით გვიცქერენ. უკვე გამქრალ და სრულიად გადასხვაფერებულ სახელებს, ბაღებს და ქალაქებს ვხედავთ, მთას, ბარს და ზღვისპირეთს, სადაც ათეული წლების წინ ვიმოგზაურეთ, ამ ჩვენი სურათების წიგნში ისევ მთელი ფერადოვნებით აღვიქვამთ.

მზერა, დაკვირვება, ჭვრეტა სულ უფრო მეტად გადადის ჩვევაში. განწყობილება და დამკვირვებლის პოზიცია განსაზღვრავს ჩვენს საქციელს.

„სურვილების, ოცნებების, გატაცებებისა და ვნებებისგან დევნილები, ჩვენც, როგორც ადამიანთა უმრავლესობა, ჩვენი ცხოვრების წლებსა და ათასწლეულებში მივქროდით მოუთმენლად, ცნობისმოყვარეობითა და იმედით, მტკივნეულად განვიცდიდით წარმატებასა და იმედგაცრუებას, დღეს კი, საკუთარი ცხოვრების დიდი, ილუსტრირებული წიგნის ფურცვლისას გვიკვირს, რა მშვენიერი და საამურია გამოხვიდე ამ რბოლიდან. აქ, მოხუცთა ბაღში ყვავის უამრავი ყვავილი მოთმინებისა, მარცვალი-კეთილშობილებისა, ჩვენ ვხდებით უფრო მშვიდნი, შემწყნარებელნი და რაც უფრო ნაკლებად გვსურს ჩავერთოთ, ვიმოქმედოთ, მით მეტი უნარი გვეძლევა, დავაკვირდეთ და ყური მივუგდოთ ბუნების სიცოცხლესა და ჩვენს თანამოძმეთა ცხოვრებას, კრიტიკის გარეშე ვადევნებთ თვალს მის მსვლელობას და გვიკვირს მისი მრავალფეროვნება, ზოგჯერ სიცილით, ნათელი სიხარულით, იუმორით, რომელიც სასიცოცხლოდ აუცილებელია.

ჩვენ კიდევ არ ვართ საშინლად მოხუცები, რადგან ჩვენს გვერდით ცხოვრობს უხუცესი, რომელიც ასი წლისაა.

ჩვენ გვიხარია, რომ ცხოვრების ამ საფეხურს გადავაბიჯეთ და უფრო ჭკვიანნი და მომთმენნი გავხდით.

სიბერე ჩვენი ცხოვრების საფეხურია, რომელსაც ისევე ,როგორც სხვა ეტაპს, საკუთარი სახე აქვს, საკუთარი ატმოსფერო და ტემპერატურა, საკუთარი სიხარული და დარდი.

იყო მოხუცი, ისეთივე შესანიშნავი და აუცილებელი ამოცანაა, როგორც იყო ახალგაზრდა. გარდაცვალებაც ისეთივე ფუნქციაა, როგორც სხვა ნებისმიერი.

სამწუხაროა, რომ საქართველოში სიბერემ თავისი ხიბლი დაკარგა, გულს გვიკლავს საარსებო სახსრების, ექიმებისა და წამლის გარეშე დარჩენილი, შიმშილისთვის განწირული მოხუცების ყურება. რამდენი ხანია, აღარ გაგვიგონია ტკბილქართული მიმართვა:„ტკბილად დაბერდი“.

საქართველოს გერბზე სწერია: „ძალა ერთობაშია.“ ამ ერთობის ბალავარი და დვრიტა კი, ის ოქროს თაობაა, რომელსაც ყველანაირად უნდა შევუწყოთ ხელი. არ მოვაკლოთ სითბო და სიყვარული, რათა მართლა ტკბილად დაბერდნენ.

მოკლედ რომ ვთქვათ, სიბერეში შენი დანიშნულება რომ შეასრულო და თავი გაართვა შენს ამოცანას, შეთანხმებული უნდა იყო სიბერესთან და იმ ყველაფერს, რაც მას თან მოაქვს, უთხრა: „მე შენ გაგიძლებ!“

ყოველმა ადამიანმა იცის, რომ სიბერეს ახლავს ათასგვარი ტვირთი და რომ ის გარდაცვალებით მთავრდება. წლითიწლობით მსხვერპლი უნდა გაიღო და ბევრ რამეზე უარი უნდა თქვა. უნდა ისწავლო, როგორ აღარ ენდო შენს გრძნობებსა და ძალებს, გზა, რომელიც შენთვის ჯერ ცოტა ხნის წინ პატარა გასეირნება იყო, გრძელი და რთული ხდება. ერთ მშვენიერ დღეს კი, ვეღარც შეძლებ მის გაგრძელებას.

ნაირა გორაშვილი

ულოცავენ!

ნაირა გორაშვილ-პოპიაშვილს!

ჩვენო ძვირფასო, გულწრფელად გილოცავთ დაბადების საიუბილეო თარიღს- 70 წლისთავს.

გისურვებთ ჯანმრთელობას და მხნეობას, რომელიც შენ ახლა გამორჩეულად გჭირდება. ამ თარიღის აღნიშვნას ჩვენ დიდი ზეიმით ვაპირებდით, მაგრამ ცხოვრება მოულოდნელობით სავსეა. ჩვენ გვჯერა, რომ ღმერთი არ გასწირავს გოგის, ამ სიკეთით სავსე, კეთილშობილ ადამიანს.

შენი არაერთი პრობლემა გადაგილახავს ცხოვრებაში და იმედი გვაქვს, ახლაც, წარმატებული იქნება შენი და შენი შვილების თავდადებული შრომა მისი სიცოცხლის შენარჩუნებისთვის. თქვენ კვლავაც დიდხანს იცხოვრებთ შეხმატკბილებულად, როგორც დღემდე მოხვედით.

ღმერთი იყოს თქვენი შემწე. გვიყვარხართ, გვიგულეთ თქვენს გვერდით.

შენი და გულნარა, **ძმა** ციხელო გორაშვილები ოჯახებით;
ბიძაშვილები: სპარტაკი, ანგელინა, ლეილა, მანანა, თამილა გორაშვილები ოჯახებით.

● ● ● ● ● ● ● ● ● ● ● ● ● ●

გილოცავთ საიუბილეო თარიღს, გისურვებთ ჯანმრთელობას, სულიერ სიძლიერეს და გამძლეობას. იმედი გვაქვს, იმ განსაცდელსაც, რომელიც ახლა მოგევლინათ, ღირსეულად გადაიტანთ.

სიყვარულით, „შირაქელები“.

არქიმანდრიტი გაბრიელი (ურგებაძე) 1929 - 1995 ცხოვრება და მოღვაწეობა

არქიმანდრიტი გაბრიელი, ერისკაცობაში გოდერძი ვასილის ძე ურგებაძე, დაიბადა 1929 წლის 26 აგვისტოს, თბილისში. გოდერძი ჩვილობაშივე მოუნათლავთ წმ. დიდმონამე ბარბარეს ტაძარში, ნავთლუღის უბანში. გოდერძის ნათლია გახლდათ ყოფილი "მოწყალების და" თამარ ბეგიაშვილი. იმ პერიოდში საქართველოში მძვინვარებდა კომუნისტური რეჟიმი; იდევნებოდა სარწმუნოება; ინგრეოდა თუ იხურებოდა ეკლესიები; უდანაშაულოდ კლავდნენ და ასახლებდნენ მოსახლეობას. დაახლოებით ორი წლის იყო გოდერძი, როდესაც გაურკვეველ ვითარებაში მოუკლეს მამა, ვასილ ურგებაძე. შემდგომში, ოჯახის წევრები მამის საპატივცემოდ ბავშვს ვასიკოს ეძახდნენ. პატარა ვასიკო ბავშვობიდანვე ღამე, როცა მეძინა, უეცრად გამეღვიძა და დავინახე, ჩემს წინ სასზარელი სახის დემონი აღმართულიყო. რისხვით მიყურებდა. ღმრთის მადლით არ შემშინებია, დავიძაბე, მაგრამ არც არაფერი ვიღონე მის განსადევნად, უბრალოდ, გაკვირვებით შევყურებდი. მან დამიღრიალა — შენ მებრძვი მეო?! და მუშტი თავში ჩამარტყა. პატარა ვასიკომ ამ განსაცდელით სარგებელი ჰპოვა, რაშიც თვით ღვთიური მადლით გამოირჩეოდა. კენჭებისგან პატარა ეკლესიებს აშენებდა და შიგ ასანთის ღერებს ანთებდა. დედას (შემდგომში მონოზონი ანა. დაკრძალულია სამთავროს დედათა მონასტრის ეზოში, შვილის გვერდით) ეშინოდა, რომ არავის შეენიშნა ვასიკოს ამგვარი გატაცება, რადგან არ იყო გამორიცხული ოჯახის დასმენა ბავშვის კომუნისტური იდეოლოგიის საწინააღმდეგოდ აღზრდისთვის. ვასიკო ყრმობიდანვე უცნაურად იქცეოდა - თანატოლებთან თამაშს განერიდებოდა ხოლმე და ამჯობინებდა მარტოობას და მდუმარებას. ბავშვს ერთი საკვირველი გართობა მაინც ჰქონდა: ხელში მოგრძო ჯოხს დაიჭერდა და გაიქცეოდა. ირგვლივ მყოფი ჩიტები ამ ჯოხს მოეხვეოდნენ და ჟღურტულით დაჰყვებოდნენ. ეს მოვლენა ყველას აკვირვებდა. ვასიკო საოცრად ლმობიერი იყო. სახლში თაგვის ხაფანგი არაფრით დაადგმევინა; თაგვს ცოცხლად იჭერდა გალიაში და შემდეგ ეზოს გარეთ უშვებდა. სკოლაში 6 წლის ასაკში შეიყვანეს. წერა-კითხვა და არითმეტიკა ადვილად შეისწავლა, ხოლო კეთილი ზნეობით საყოველთაო სიყვარული დაიმსახურა. ქრისტეს სახელი პირველად 7 წლის ასაკში გაიგო, რამაც ვასიკოს ჩვეული ცხოვრება სრულიად შეცვალა. მალევე შეაგროვა ფული და შეიძინა სახარება, რაც ახალი ცხოვრების საწყისად იქცა. იმ დღიდან აღსასრულამდე გაბრიელ ბერი ერთი აზრით და სურვილით განიმსჭვალა — ეცხოვრა მხოლოდ ქრისტესთვის. დღემუდამ თავის სახარებას კითხულობდა და სხვა არაფერი აინტერესებდა; გაკვეთილებს კი მცირე ხნით თუ გადაავლებდა თვალს, ბევრი დრო რომ არ წართმეოდა. დაძინებისას, თავის ოთახში შევიდოდა და ხატების კუთხეში ხანგრძლივად ლოცულობდა. სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე გაბრიელ ბერს მოუგონებია თავისი ბავშვობის ის პერიოდი: - მეორე სართულზე, აივანზე ვიჯექი ჩემთვის ჩაფიქრებული, როდესაც შინაგანი კარნახივით მომეცა — ცას ახედეო. ავდექი, აივნის ნაპირთან მივედი, ავიხედე და ვხედავ, ცაზე დიდი ჯვარი იყო აღმართული. მაშინ ვერა, მაგრამ ახლა კი ვიცი, რომ ეს იყო ჩემი ჯვარი, რომელიც ღმრთისა და მოყვასის სიყვარულით უნდა მეტვირთა და მეტარებინა.

ამავე პერიოდს ეხება გაბრიელ ბერის კიდევ ერთი მოგონება: - გაბრიელ ბერის მოგონებაც გვარწმუნებს: - როდესაც დემონი ვიხილე, მაშინ სრულიად განმტკიცდა ჩემი რწმენა ქრისტეში, რადგან ვთქვი, თუკი ეშმაკი არსებობს, ღმერთი ხომ უფრო მეტად-თქო. და თან ამით კიდევ, მოყვასო, ადამიანის სილამაზე დავინახე და დავაფასე.

12 წლის ვასიკოს წრფელი სიყვარულისა და მოღვაწეობრივი ცხოვრებისათვის უფლისგან ძალმოსილებისა და საღმრთო გამოცხადებათა მადლი მიენიჭა.

მონოზონი პელაგია (გურჯაანის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის მონასტრის ყოფილი წინამძღვარი), გაბრიელ ბერის თანატოლი და მეზობელი, იგონებს: - ზაფხულის ერთ დღეს ბიძაჩემი სახლში მოვიდა და ყველას გასაგონად, ხმამაღლა სთქვა — "დიდება ქრისტე ღმერთს, ჯერ კიდევ ჰყოლია თავისი გამორჩეული ხალხი დედამიწაზე". კითხვაზე — "რა მოხდა, რამ გაგაოცაო" - მოგვიყვა: "სახლში ძველი ბარბარეს გზით მოვდიოდი და წმ. გიორგის დანგრეულ ტაძარს რომ მივუახლოვდი, რას ვხედავ, გოდერძი, ვასიკოს ბიჭი, ამ პაპანაქება სიცხეში ტაძარს დიდი ლოდებისაგან ასუფთავებდა. მუშაობაში გართულმა ერთი ხანობა ვერ შამამჩნია, მეც ამ სანახაობის შემხედვარემ, ხმა არ ამოვიღე, ხოლო როცა დამინახა, გაუხარდა და მითხრა — "მოდი მუხა ძია, და თუ შეძლებ - ერთი დიდ ლოდზე მიჩვენა, - ასწიეო". "მუხას" ბიძაჩემს დიდი ძალისა და ფალავნობისთვის ეძახდნენ, ისე კი გიორგი ერქვა. მუხამ განაგრძო — "ძალიან ვეცადე, მაგრამ ადგილიდან ძვრა ვერ ვუყავი. ის კი მივიდა, "ქრისტეს სახელითო" თქვა, ასწია და ტაძრის გარეთ მოგროვილ ლოდებთან დასდო". ჩვენი ოჯახი მორწმუნე იყო, მაგრამ იმ ავბედითი რეჟიმის გამო ეკლესიაში სიარულსა და მარხვას შეეშვნენ. მუხა ძიამ კი იმ დღიდან კვლავ დაიწყო ქრისტიანული ცხოვრება.

მეორე მსოფლიო ომის დროს გაუბედურებული ხალხი, ვისაც ფრონტიდან ცნობა არ ჰქონდათ ახლობლებზე, ვასიკოსთან მიდიოდა ამბის გასაგებად. მამა გაბრიელი, რომელიც მაშინ 12 წლის იყო, ყველას პასუხს აძლევდა და თან უქადაგებდა: - „ეკლესიაში იარეთ, ქრისტეს არ მოსწყდეთ და სულის ცხონება არ დაკარგოთ".

პატარა ვასიკოს სიტყვა არასდროს ცუდდებოდა; მადლიერი ხალხიც თანდათან სარწმუნოებას უბრუნდებოდა და ეკლესიაში იწყებდა სიარულს. ხალხისგან პატივისცემას ვასიკო ყოველთვის გაურბოდა და თავის დასამბდაბლებლად ხანდახან ძალიან უცნაურად იქცეოდა: უბანში, ყველაზე გამოსაჩენ ადგილას ნაგავში ჩაჯდებოდა და ხმამაღლა ამბობდა: - "არ დაგავიწყდეს, ვასიკო, რომ ნაგავი ხარ და თავი დიდი ვინმე არ გეგონოს".

ოჯახის წევრები ვასიკოს ამისთვის ურისხდებოდნენ და სჯიდნენ კიდეც, მაგრამ ხალხი მის დაცინვას და შეურაცხყოფას ერიდებოდა.

გაბრიელ ბერის ცხოვრების ამავე პერიოდს ეხება კიდევ ერთი განსაცვიფრებელი ამბავი: კომუნისტური რეჟიმის დევნისას ხალხი წმინდა ხატებს სხვენსა თუ სხვადასხვა საცავში მალავდა. მრავალ ადამიანს გაუნელდა რწმენა და სიწმინდეებს საჭირო პატივს ვეღარ მიაგებდა. აი, ამნაირთ მიადგებოდა პატარა ვასიკო და ეუბნებოდა: "თქვენთან, სახლში (ადგილს ზუსტად მიუთითებდა) ხატი გისვენიათ. ან ჯეროვანი პატივი მიაგეთ, ანდა მე მომეცით და ჩემთან მექნება; შემდგომ, თუ კვლავ მოინდომებთ მათ პატივისცემას, მოდით და სიხარულით დაგიბრუნებთ". ზოგიერთი შეინანებდა და ხატს იტოვებდა, ზოგიც კი, ვისაც ამის სურვილი არ ჰქონდა, ხატს ატანდა. ამ მოქმედებით ყველა გაკვირვებული რჩებოდა. პატარა ვასიკო ხატებს განსაკუთრებული სიყვარულით ეპყრობოდა. მის მიერ აშენებულ ეკლესიაში და სამთავროს დედათა მონასტერში არსებულ კელიაში დღესაც ყველას აოცებს ლამაზად და დიდი რუდუნებით გამშვენებული ხატები, რომლებიც თითქმის სრულად ფარავენ კედლებსა თუ ჭერს, რაც დაუვიწყარ შთაბეჭდილებას ახდენს მომლოცველებსა თუ დამთვალიერებლებზე. პატარა ვასიკოს თითქოსდა უშფოთველი ცხოვრება დიდხანს არ გაგრძელებულა. დედა — ბარბარე, კეთილსინდისიერი და შრომისმოყვარე ქალი გახლდათ. ახალგაზრდობაში ლამაზი შეხედულების ყოფილა და ადრიანად გათხოვდა, 14 წლის ასაკში. პირველი ქორწინებიდან მას სამი შვილი — ემა, მიქაელი და გოდერძი-ვასიკო შეეძინა. შემდეგ ოჯახში მოხდა ტრაგედია; მეუღლე ვასილი გაურკვეველ ვითარებაში დაეღუპა. 22 წლის ქალი უმწეო მდგომარეობაში აღმოჩნდა. შემწე არავინ ჰყავდა და იძულებული იყო მძიმე შრომის ფასად ერჩინა ოჯახი. მეორე ქორწინებიდან ქალიშვილი - ჯულიეტა შეეძინა. პირველი სერიოზული გამოცდა გაბრიელ ბერს 12 წლის ასაკში მოუხდა. დედა, მიუხედავად იმისა, რომ არ იყო ურწმუნო ადამიანი, თითქმის სრულიად უკრძალავდა პატარა ვასიკოს სარწმუნოებრივ ცხოვრებას. თავდაპირველად, როდესაც შვილმა სარწმუნოებისადმი საოცარი ლტოლვა გამოამჟღავნა, დედის გაკვირვება გამოიწვია. მაგრამ, როდესაც ვასიკოს პიროვნებაში ქრისტეს რწმენამ ღრმა და ჩამოყალიბებული სახე მიიღო, დედამ კატეგორიულად მოსთხოვა შვილს ხელი აეღო მის არჩევანზე. — "ადამიანი არა ხარ, რა თავს იტანჯავ, ჩვეულებრივ, როგორც ყველა, ისე იცხოვრე. თუ გინდა მორწმუნე იყავი, მაგრამ ისე არა, მხოლოდ სახარება და სარწმუნოება გინდოდეს".

მრავალი წლის შემდეგ, როდესაც მძიმედ დასნეულებულ გაბრიელ ბერს გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე სამთავროს მონასტრის სენაკში ესტუმრნენ მოხუცებული დედა და დები, ცრემლმორეულმა ბარბარემ ტირილით მიმართა: - განა რა იყო შენი ცხოვრება, გაბრიელ, ტანჯვა-წამების გარდა? ბავშვობა შენ არა გქონია და არაფერი, რა იქნებოდა ცოტა მაინც დაგეჯერებინა და თავს მოფრთხილებოდი, შენც ხომ ადამიანი იყავი.

გაბრიელ ბერმა თვალებაცრემლებული დედა რომ იხილა, შეწუხდა; შეწუხდა, ერთი მხრივ, იმით, რომ მშობელ დედას კვლავ არ ესმოდა მისი. და მეორე: ის იყო დედა, რომელიც მონაწილე იყო შვილის მძიმე ცხოვრებისა და მისი ეს ცრემლები ღრმა ცხოვრებისეული ტკივილისგან მოდიოდა. ხანმოკლე სიჩუმის შემდეგ მამა გაბრიელმა ლმობიერი ხმით უპასუხა: - მე სხვანაირი ცხოვრება არ შემეძლო.

არც 12 წლის ასაკში არ შეეძლო ვასიკოს სხვაგვარი ცხოვრება. შვილისგან მორიგი უარის გაგონებაზე განრისხებულმა ბარბარემ სახარება საპირფარეშოში გადაუგდო. ვასიკოს იმწამსვე ამოუღია სახარება, გულში ჩაუკრავს და გულსაკლავად ატირებულა. ეს შემთხვევა იყო ზღვარი, როდესაც ვასიკოს უნდა გაეკეთებინა თავისი არჩევანი. ნაშუაღამევს ვასიკომ თავისი განუყრელი სახარება აიღო და სახლიდან წავიდა. გვიანი შემოდგომა იყო. მთელი ღამისა და დღის ნამგზავრი ბავშვი საღამოხანს ჩასულა მცხეთაში. პირველად სამთავროს დედათა მონასტერში მისულა. ილუმენია ანუსიამ (კოჭლამაზაშვილი) ვასიკო სიყვარულით მიიღო, გაათბო და გამოკვება, მაგრამ ვერ დაიტოვა, რადგან დედათა მონასტერში მამაკაცის მიღება არ შეიძლებოდა და უთხოვია სვეტიცხოველში ჩასულიყო. ვასიკოს გულმხურვალედ ულოცია სამთავროს ივერიის ღმრთისმშობლის ხატთან და უთხოვია, მონასტერში სენაკი და ცხოვრების უფლება მიეცა. სვეტიცხოველში 3 დღე გაუჩერებიათ, რადგან მთავრობის დადგენილებით არასრულწლოვანთა ხანგრძლივად შეფარება იკრძალებოდა. შემდეგ შიომღვიმეს მონასტერში ასულა, სადაც ასევე მხოლოდ 3 დღით შეიფარეს და მცირე საგზლით ზედაზნის მონასტერში გააცილეს. იმჟამად ზედაზენზე რამოდენიმე მხცოვანი ბერი მოღვაწეობდა. მათ იმდენად შეიყვარეს ნორჩი მორწმუნე, რომ მონასტრის ახლოს ფარული სამყოფი მოუწყვეს და რამდენიმე კვირა დაიტოვეს. ჩეკისტების გამკაცრებული კონტროლის გამო ბერები იძულებული გახდნენ ღვთისმსახურებით გულანთებული ბავშვი ბეთანიის მონასტერში გაეგზავნათ. ვასიკოს დაწვრილებით აუხსნეს გზა და საგზალიც გაატანეს. ბეთანიაში მას დახვდა ორი ბერი - ღირსი მამა გიორგი (მხეიძე) და ღირსი მამა იოანე (მაისურაძე). ბეთანიელი ბერები გაბრიელ ბერის უსაყვარლეს მოძღვრებად იქცნენ. ბეთანიიდან წამოსული ვასიკოს ზუსტი ადგილსამყოფელი და ცხოვრება უცნობია. გარკვეული პერიოდი იგი ერთმა კეთილმა ქალმა, მარგომ შეიფარა, რომელიც თბილისში ცნობილი მკითხავი იყო. პატარა ვასიკო წუხდა, რომ ასეთი კეთილი ადამიანი შემცდარიყო და დიდ ცოდვაში იმყოფებოდა. ერთხელ მარგო ავად გამხდარა, ვასიკოს კი იგი დაუწყნარებია და უთქვამს: "შენს მაგივრად მე მივიღებ ხალხსო". მართლაც, სამკითხაოდ მოსულ ხალხს ღვთივსულიერი ბავშვი ქრისტეზე უქადაგებდა და ეკლესიური ცხოვრების აუცილებლობაში არწმუნებდა. ღვთისგან ვასიკოს წინასწარმეტყველების ნიჭი მიეცა და სამკითხაოდ მოსულ ხალხს ესაუბრებოდა მათ განსაცდელზე და იმ ცოდვებზე, რომლებიც არც კი ახსოვდათ. მოუწოდებდა, მღვდელთან აღსარებაზე მისულიყვნენ და მიეღოთ წმინდა ზიარება. მიმსვლელები გაოგნებულნი და გაკვირვებულნი იყვნენ ბავშვის ქცევით. ვასიკოს შეწევნით მარგომ მიატოვა მკითხაობა და ეკლესიური ცხოვრება დაიწყო, რამაც იმ დროინდელ თბილისში დიდი მითქმა-მოთქმაც გამოიწვია. ვასიკოს კი დედა მთელი ამ დროის განმავლობაში დაუღალავად ეძებდა და ბოლოს მიაგნო კიდეც მის ადგილსამყოფელს. - ოღონდ შენ სახლში დაბრუნდი, და როგორც შენ გინდა, ისე იყოს. მე შენს არჩევანს აღარ დაგიშლი — უთქვამს შვილის ნახვით გახარებულ დედას.

ვასიკო სახლში დაბრუნდა. ამის შემდგომ ბარბარეს მკაცრი მიდგომა აღარასოდეს გამოუჩენია შვილისადმი, თუმც, დროდადრო მოუწოდებდა ეცხოვრა ჩვეულებრივად და არა მხოლოდ სარწმუნოებით. ვასიკო სახლში დაბრუნების შემდეგ თვეში ერთთელ მაინც ადიოდა ბეთანიაში და იქ მოღვაწე მხცოვან ბერებს სხვადასხვა საქმეში ეხმარებოდა.

16 წლის ჭაბუკი მარტყოფის მონასტრის მოსალოცად ფეხით გაემგზავრა. აქ ვასიკოს ღვაწლმოსილი ბერი მამა აითალა დახვდა, რომელსაც დიდად აფასებდა მამა გაბრიელი და პატივისცემით მოიგონებდა ხოლმე შემდგომ წლებში — "დიდი ბერი, დაფარულთა მცნობელი ბერი იყოო". მამა გაბრიელის ცხოვრების ამ პერიოდში საგულისხმოა კიდევ ერთი ამბავი: ძველი ვერის სასაფლაოზე, სადაც საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში დაღუპული იუნკერები იყვნენ დაკრძალული, კომუნისტურმა მთავრობამ ბაღის მოწყობა გადაწყვიდა და ტერიტორია ბულდოზერებით მოასწორეს. ამ ბარბაროსული ქმედების შედეგად მიცვალებულთა ძვლები მიწის ზედაპირზეც აღმოჩნდა. ახალგაზრდა ვასიკომ ეს ძალზედ განიცადა და ღამ-ღამობით, ფარულად, ძვლებს ტომრით აგროვებდა და უსაფრთხო ადგილას კვლავ მიწას აბარებდა.

1949 წ.-ს ვასიკო საბჭოთა ჯარში გაიწვიეს. სამხედრო სამსახური მან ბათუმში, სასაზღვრო ნაწილში გაიარა. მიუხედავად მკაცრი რეჟიმისა, ვასიკო ახერხებდა მარხვის შენახვას. იგი ფარულად წმ. ნიკოლოზის მოქმედ ეკლესიაშიც კი დადიოდა და წმიდა საიდუმლოებებს ეზიარებოდა. სავალდებულო სამხედრო სამსახურის გავლის შემდეგ ვასიკო სახლში დაბრუნდა. სულ მალე იგი გამოიძახეს სამედიცინო დისპანსერში და დაკითხვა მოუწყვეს; გაახსენეს ბავშვობისდროინდელი ხილვის შესახებ, როდესაც მას 12 წლის ასაკში გამოეცხადა ბოროტი სული. რამდენიმე დღეში ვასიკომ მიიღო საბუთი, რითაც მას აცნობეს, რომ იგი მიჩნეული იყო ფსიქიურად ავადმყოფად და ეკრძალებოდა თანამდებობრივი საქმიანობა. მას დაენიშნა მეორე კატეგორიის ინვალიდის პენსია, რაც, თავისთავად, უხეში სამართლებრივი დარღვევა იყო, რადგან საბჭოთა კანონმდებლობით, ამგვარი პიროვნების ჯარში გაწვევა არ შეიძლებოდა. ყოველივე ეს საბჭოთა უშიშროების და პარტიული იდეოლოგიის მესვეურთა მხრიდან გაკეთდა, რათა

(გაგრძელება გვ. 7)

(მეექვსე გვერდიდან)

მსგავსი ცნობიერების ადამიანს ცხოვრებისეული წინსვლის შემთხვევაში არ შეექმნა საფრთხე კომუნისტური სისტემისათვის.

ამ დროიდან ვასიკო კიდევ უფრო სერიოზულად მიუდგა სულიერ ცხოვრებას. სახლის საკარმიდამო ეზოში მცირე ზომის საცხოვრებელი აიშენა, სადაც განმარტოებით, სიმშვიდეში იწყო მოღვაწეობა. წირვა-ლოცვებზე სიონის საკათედრო ტაძარში დადიოდა. ახალგაზრდა ვასიკომ მალევე მიიქცია უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის მელქისედეკ III-ის ყურადღება. პატრიარქის კურთხევით ვასიკომ დარაჯად დაიწყო მუშაობა, შემდგომ კი მედავითნედ მსახურობდა სიონის ტაძარში. 1955 წ.-ის იანვარში ვასიკო დიაკვნად აკურთხეს, ხოლო 23 თებერვალს ქუთაისის მოწამეთას მონასტერში ვასიკო ბერად აღიკვეცა და მისი სურვილისამებრ ეწოდა გაბრიელი. 3 დღის შემდეგ წმ. პეტრე-პავლეს საკათედრო ტაძარში ქუთათელ-გაენათელმა ეპისკოპოსმა გაბრიელმა (ჩაჩანიძე) მღვდელ-მონოზვნად დაასხა ხელი.

დღიდან აღკვეცისა, გაბრიელ ბერი საოცარი სიყვარულით და მოშურნეობით იღწვოდა ღვთისა და მოყვასისთვის. მელქისედეკ III-ის კურთხევით ჯერ სიონში მსახურებდა, 1960 წლიდან კი ბეთანიის მონასტერში, თავის საყვარელ მოძღვართან მამა გიორგისთან (მხეიძე) და მღვდელ-მონოზონ ვასილთან (ფირცხალავა) ერთად მოღვაწეობდა. 1962 წლის მიწურულს, მამა იოანეს (მაისურაძე), მღვდელ-მონოზონ ვასილის (ფირცხალავა) და მამა გიორგის (მხეიძე) გარდაცვალების შემდეგ მთავრობამ ბეთანიის მონასტერი დახურა. გაბრიელ ბერი თბილისში დაბრუნდა, სადაც თავის საკარმიდამო ეზოში სრულიად მარტომ დაასრულა 7 გუმბათიანი მცირე ზომის ეკლესიის მშენებლობა.

1962-1965 წწ.-ში გაბრიელ ბერი ყოვლადწმიდა სამების ტაძარში მსახურობდა, სადაც მცირე მრევლი ჰყავდა შემოკრებილი.

თანამედროვე თაობისთვის ძნელია წარმოდგენა იმისა, თუ რა საოცარი სულის მხნეობა ჰქონდა ახალგაზრდა გაბრიელ ბერს, რომელმაც უსაშინლესი კომუნისტური სისტემის წინააღმდეგ გამაოგნებელი და უპრეცედენტო ნაბიჯი გადადგა: 1965 წლის 1 მაისს მინისტრთა საბჭოს წინ გამართულ დემონსტრაციაზე დაწვა ლენინის უზარმაზარი პორტრეტი. თავზარდაცემულ ხალხს ბერი გაბედულად უქადაგებდა: - დიდება ამ მკვდარს კი არ უნდა, არამედ ქრისტე ღმერთს შვენის, რომელმაც სიკვდილი დასთრგუნა და საუკუნო ცხოვრება მოგვანიჭა.

გაავებულმა ბრბომ გაბრიელ ბერი უმოწყალოდ ჩაქოლა. ქალაქში გამოცხადდა პირველი კატეგორიის განგაში და ბერი სიკვდილს მხოლოდ ცნობილი მე-8 პოლკის ჩარევამ გადაარჩინა. ცოცხალ-მკვდარი გაბრიელ ბერი ყბა-სახის და სხეულის 17 მოტეხილობით უშიშროების იზოლატორში გადაიყვანეს. მას უპირობო დახვრეტის მუხლი მიუყენეს, გამოძიება კი მხოლოდ ფორმალურ მხარეს ატარებდა. მაგრამ კომუნისტური რეჟიმის მესვეურთ ჰქონდათ ერთი განსაკუთრებული ინტერესი - ისინი მოითხოვდნენ ელიარებინა ბერს, რომ ეს ეკლესიის დავალებით ჩაიდინა, სანაცვლოდ კი სიცოცხლის შენარჩუნებას სთავაზობდნენ. ხანგრძლივი ტანჯვა-წამების მიუხედავად, გაბრიელ ბერი ურყევად იდგა. პირიქით, მორიგ დაკითხვაზე ლენინი კვლავ მხეცად მოიხსენია, რაზედაც კვლავ ცემა და წამება მიიღო. ეს ფაქტი უცხოეთის პრესისთვის არ დარჩენილა უცნობი. ევროპისა და ამერიკის ჟურნალ-გაზეთებით ფართოდ გავრცელდა ეს დაუჯერებელი და სენსაციური ამბავი. სიტუაციის ამგვარი განვითარება კრემლის პოლიტიკაზეც აისახა და დახვრეტის მაგივრად გაბრიელ ბერი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გადაიყვანეს, როგორც სულიერად დაავადებული ადამიანი. საბჭოთა მთავრობა მამა გაბრიელს სამუდამოდ უპირებდა ფსიქო-ნევროლოგიურ საავადმყოფოში იზოლირებას, მაგრამ უფალმა თავის ერთგულ მსახურს არა ამისათვის შეუნარჩუნა სიცოცხლე.

მიუხედავად იმისა, რომ გაბრიელ ბერს მღვდლობა ხელშეუხებლად დაუტოვეს, ეკლესიაში მსახურება აუკრძალეს. ამ იძულების გამო წირვა-ლოცვას ის მრევლთან ერთად ესწრებოდა და როგორც ერისკაცი, ისე ეზიარებოდა. მას ხშირად იბარებდნენ უშიშროებაში, საიდანაც საშინლად ნაცემი ბრუნდებოდა. ყოფილა ისეთი შემთხვევაც, როცა სასტიკად ნაცემს სიარული აღარ შეეძლო. მაშინ ოჯახის წევრებს აცნობეს მისამართი და მოსთხოვეს სახლში წაეყვანათ. ამ დროიდან მამა გაბრიელი იწყებს ისეთი წესით ცხოვრებას, რომელიც ძალზედ მტკივნეული იყო მისთვის. ის სულიერად ავადმყოფად უნდა მოსჩვენებოდა ხალხს; გარეგნულად უარი უნდა ეთქვა ცხოვრების ჩვეულ წესზე. მდუმარების მაგივრად — ხმამაღლა ქადაგებდა ქუჩებში. აქამდე თუ მკაცრად იკრძალავდა ღვინოს, ახლა უკვე ხალხში ყველას დასანახად დალევდა და ლოთად მოაჩვენებდა თავს. სალოსობა დიდი ღვაწლია. ადამიანთა წინაშე სულელად მყოფობა მოითხოვდა საკვირველ გმირობას, სულიერ ძალასა და საღმრთო გონებას. "სულელი იგი ღმრთისა უბრძნეს კაცთა არს და უძლური იგი ღვთისა უძლიერეს კაცთა არს (1 კორ. 1: 25). განსაცვიფრებელია გაბრიელ ბერის უდიდესი თავმდაბლობა. მისი უფროსი და ქ-ნი ემმა იგონებს:

- არა, ჩვენ მას ვერ ვუგებდით. ის ბავშვობიდან სხვანაირად ფაქიზი სულის კაცი იყო. როდესაც მღვდლად აკურთხეს, ხალხი თავისებურ პატივს სცემდა. გაბრიელი სახლში რომ მოვიდოდა, თავის ეკლესიაში შესული ხშირად გულსაკლავად ტიროდა. ერთხელ ეკლესიის კარი ღიად ჰქონდა და ტირილის ხმა რომ გავიგე, შევედი და შეწუხებულმა ვკითხე — ვასიკო, ძმაო, რად სტირი ასე, რამე ცუდი ხომ არ არის შენს თავს?

- დაო, ქრისტე ბაგაში იშვა, მე კი ხალხი პატივს მომაგებს და ხელებზედ მკოცნის.

გავიდა 4 წელი გაბრიელ ბერის ციხიდან და საგიჟეთიდან გათავისუფლების შემდეგ. კომუნისტური ხელისუფლება ვერ ეგუებოდა ბერის გაბედულ მოღვაწეობას და აღმსარებლობას. გადაწყდა მისი ეკლესიის დანგრევა, რაც გამოხატულება იყო პირსისხლიანი წითელი რეჟიმის შინაგანი ბრძოლისა გაბრიელ ბერის წინააღმდეგ. საოცარია, მაგრამ დანგრეული ეკლესია გაბრიელ ბერმა კვლავ აღადგინა. მასთან ბოდიშის მოსახდელად ჯერ მილიციის უფროსი მისულა ფარულად, ხოლო შემდეგ კი რაიკომის მდივანი.

1987 წლიდან მამა გაბრიელმა სამთავროში, ე.წ. კაკლოვანში, ძალზე მცირე ზომის ფიცრულში დაიწყო ცხოვრება. ამ ფიცრულს ადრე მონასტერი საქათმედ იყენებდა, შემდგომ კი უფუნქციოდ იყო დარჩენილი. ამ პერიოდში მამა გაბრიელი იშვიათად, სამი დღით, ან ერთი კვირით თუ დატოვებდა მონასტერს და შემდეგ ისევ თავის ფიცრულ საცხოვრისს უბრუნდებოდა

ამ პერიოდში გაბრიელ ბერი ძირითადად ფიცრულში ცხოვრობდა და იშვიათად, ერთი ან ორი ღამით თუ დარჩებოდა კოშკში, თავის კელიაში. ერთხელ მას გამოეცხადა უფლის ანგელოზი, აუწყა სვეტიცხოვლის ძელის ნაწილის შესახებ და ის ადგილიც ზუსტად მიანიშნა, სადაც ეს სიწმინდე ინახებოდა. გაბრიელ ბერმა მონასტრის დედებთან ერთად ეს წმინდა ნაწილი საიდუმლო ადგილიდან კრძალულებით გამოასვენა. ეს სიწმიდე დღეს სამთავროს მონასტერშია დაცული. 1990 წელს გაბრიელ ბერი შიომღვიმის მონასტერში გადავიდა, რადგან სურდა განმარტოებით, დაყუდებულად ეცხოვრა. აქ მას გამოცხადებით, უფლისგან ეუწყა წასულიყო სამთავროში და ხალხისთვის ემსახურა. ამ დროიდან, ვიდრე გარდაცვალებამდე, გაბრიელ ბერი სამთავროს მონასტერში, თავის კელიაში — ძველ კოშკში დამკვიდრდა და უფლის მცნებისამებრ, ხალხის — მოყვასის მიმართ თავდაუზოგავი ღვაწლით აღასრულა ცხოვრება.

- თქვენ მოესწრებით ანტიქრისტეს,... როცა დევნა დაიწყება და მთებში მოგიწევთ წასვლა. ნუ შეშინდებით! როგორც ისრაელიანებს არაფერი აკლდათ უდაბნოში, როდესაც ფარაონის და ეგვიპტის მონობიდან გამოვიდნენ, ისევე მოგხედავთ ღმერთი თქვენც, რომლებიც ქრისტეში თავისუფლებისათვის გახვალთ მთებში, რათა გაექცეთ ეგვიპტის — ამ სოფლის, და ფარაოს — ანტიქრისტეს მონებას. იცოდეთ, ეს ღვაწლი აღთქმულ ქვეყანაში — სასუფეველში - შეგიყვანთ და მზესავით გაგაბრწყინებთ.

უკანასკნელ დღეებში გაბრიელ ბერი მხოლოდ სიყვარულზე ქადაგებდა და ყველა მომსვლელს ცრემლიანი თვალებით ეუბნებოდა: - გახსოვდეთ, ღმერთი არის სიყვარული. რაც შეიძლება მეტი სიკეთე აკეთეთ, რომ თქვენმა სიკეთემ გადაგარჩინოთ. იყავით მდაბალნი, რამეთუ ღმერთმა მდაბალთა მოსცის მადლი. შეინანეთ ცოდვები და დაუტევეთ იგი, რადგან "ხვალე" - ეს მხოლოდ ბოროტის მახეა. გიყვარდეთ ერთმანეთი, რამეთუ უსიყვარულო ადამიანი სასუფეველს ვერ დაიმკვიდრებს.

გარდაცვალებამდე ერთი დღით ადრე გაბრიელ ბერს უთქვამს: - მოინია ჟამი ჩემი ამ სოფლიდან წასვლისა. შემდეგ მარჯვენა ხელით მოეფერა მაცხოვრის ხატს, რომელიც თავთან ეკიდა, ერთხანს ჩუმად იყო და თქვა:

- 12 წლიდან შენ მოგდევ უფალო. მზადა ვარ, წამიყვანე.

მთელი ღამე, მეორე დღის 4 საათამდე, უმძიმეს ტკივილებში გაატარა. შემდეგ კი ხმამაღლა და ხანგრძლივად დაიწყო სუნთქვა და დაიძახა:

- დედა... დედა! დაო...დაო!

მთელი მონასტერი მოვიდა, ოჯახის წევრები, ახლობლები, ერისკაცნი, ექიმი, მღვდლები. მამა გაბრიელი კი სიყვარულით უმზერდა წმინდა ნიკოლოზის ხატს და თვალს არ აშორებდა. მეუფე დანიელმა სულის გასვლის ლოცვები წაუკითხა. ლოცვის დამთავრებისას მამა გაბრიელმა გაიღიმა და სული განუტევა. იდგა 1995 წლის 2 ნოემბერი...

გაბრიელ ბერი, მისი ანდერძისამებრ, ჭილოფში შეხვეული დაიკრძალა სამთავროს მონასტრის ეზოში. მის ცხედარს დასაფლავებისას მისი მოსიყვარულე ადამიანები ეხვევნენ გარშემო. ვერავინ გაიმეტა მიწის მისაყრელად და ამიტომ მიწას საფლავის ნაპირას ჰყრიდნენ. შემდეგ მიწა თავად წაამოიშალა, თითქოს კალთა გადააფარაო, გულში ჩაიხუტა და სულ ერთიანად დაჰფარა.

საფლავზე წარწერილია სიტყვები, რომლითაც სრულდება მისი ანდერძი:

"ჭეშმარიტება სულის უკვდავებაშია" - გაბრიელ ბერი

მონატრება

სოსო და თემურ ბერიაშვილები



ოცი წლის მონატრებულო, ზღვისფერთვალება შვილო, თემურ, სულ ახალგაზრდას, 35 წლისას მოგისწრაფა სიცოცხლე უკურნებელმა სენმა. 27მარტს 55 წლის იქნებოდი და შეესწრებოდი შვილიშვილებს-თამუნას და თორნიკეს, რომლებიც მომღიმარე სურათით გიცნობენ.

შენს მონატრებას ერთი უბედურება კიდევ მარგუნა უფალმა, რა შევცოდე ისეთი.

შენს მონატრებას სოსოს მონატრებაც დაემატა. ვერ წარმომიდგენია, რა მაძლებინებს მე უბედურს თქვენი დაკარგვის შემდეგ. შვილო, სოსო, ვერც შენ შეხვდი შვილიშვილს გაბრიელას, არადა როგორ გინდოდა. გოგონა გაიზრდება და პაპას ისიც სურათით გაიცნობს, მოგიკვდეს დედა.

ამბობენ, მინა გრილია და დრო მკურნალიაო, მაგრამ შვილების დაკარგვას მზიანი ქვეყნიდან ვერავის და ვერაფერს ვერ შეუძლია შეუმსუბუქოს დედას სიმწარე, რომელსაც ცრემლიც კი გაუშრა.

სოსო, მართალია შენი დაკრძალვა ცოლშვილის თხოვნით თბილისში მოხდა, მაგრამ ერთი წამითაც არ გვავიწყდებით ოჯახის წევრებს და მხარჩამოგდებულ ძმას, ალიკას. მე გწერ მონატრების წერილს, მაგრამ თქვენ სიზმრად მაინც გამომეცხადეთ, ამით მაინც გამახარეთ, თუ ამას სიხარული ჰქვია.

მონატრებულო შვილებო, ტკბილად იძინეთ თქვენს სასუფეველში მამასთან ერთად. მაპატიეთ, თუ ვერაფრით შეგიმსუბუქეთ თქვენ გაუსაძლისი ტკივილი.

მწუხარებით თვალზე
ცრემლშეუმშრალი დედა.

დარეჯან ბეგიაშვილი

ჩვენო საყვარელო შვილო, მოვიდა გაზაფხულის პირველი თვე და მასთან ერთად მოდის გაზაფხულივით ლამაზი დღესასწაული 3 მარტი - დედის დღე და 8 მარტი ქალთა დღე. შენ ხომ ყოველთვის შენს ქმარშვილთან ერთად, შენი მეუღლის მეგობრების წრეში აღნიშნავდი ამ ლამაზ დღეს. ისინი ალბათ ეხლაც აღნიშნავენ, მაგრამ უშენოდ. მჯერა, რომ არ დაგივიწყებენ შენი გოგონები. სკოლაში ბავშვებს თავიანთი ხელით ამზადებინებენ მისალოცბარათებს, ანა ხომ ყოველთვის აგროვებდა ფულს შენი საჩუქრისთვის, რათა შენი ავადმყოფი გული გაეხარებინა. შენი ნიკოლოზი კი წელს პირველად ამზადებს ბარათს სკოლაში, მაგრამ ვის მიუტანოს მან ეს ბარათი?! ეს დღე შენი შვილებისთვის ძალიან მტკივნეულია, მწარე და ცრემლით სავსეა შენი მეუღლისთვის, შენი დებისთვის და დისშვილებისთვის. ჩვენთან ერთად ცრემლი არ შრება მამიდაშვილის და დეიდაშვილის თვალზე. მწარეა ჩვენთვის გაზაფხულის მოსვლა, გაიღვიძებს ბუნება, მაგრამ შენ ველარ გაიღვიძებ, ჩვენო მოუსვენარო გოგო. მოვალთ შენს საფლავთან, მოვიყვანთ შენს შვილებს და მანდ მოგილოცავთ დედის დღეს. შენ ხომ ბუნებამ მხოლოდ 35 გაზაფხული და 12 დედის დღე გარგუნა. დედა არ მოგაკლებს სანთელ-საკმეველს და საკურთხს. იძინე მშვიდად, ჩვენო ავადმყოფობით დაღლილო, შვილო. მსუბუქი იყოს შენი მშობლიური არბოშიკის მიწა შენთვის.

შენი უბედური მშობლები: მარინა, ნიკო; **დები:** ხათუნა, ქეთი ბეგიაშვილები; **მეუღლე** კობა; **შვილები** ანა და ნიკოლოზ პოპიაშვილები.

ჩვენი დის ხსოვნას!

დარეჯან, ჩვენო დიდო ტკივილო,ძალიან გვენატრები მე და ქეთის, გვენატრება შენი ბობოქარი სული, შენებური რჩევა-დარიგება. გილოცავთ დედის დღეს, ძალიან ხანმოკლე გამოდგა შენთვის დედობა. ვერავის მიუტანენ შენი შვილები ყვავილების თაიგულს და ვერ ეტყვიან,დედა, გილოცავთ დედის დღესო, თუმცა, შენს საფლავზე მოვლენ და მაინც მოგილოცავენ. ყოველი დღე მტკივნეულია ჩვენთვის შენს გარეშე.

ძალიან ძნელია შენი ქმრისა და ჩვენი მშობლების ტანჯვის ყურება. თუმცა, ქეთი უდედობას არ აგრძნობინებს შენს შვილებს, დედასავით შესცქერის თვალებში. ჩვენო საყვარელო დაო და ჩვენო დიდო ტკივილო, გვენატრები ძალიან. ღმერთმა დაგიმკვიდროს სასუფეველი, დაიკო!

შენი დები ხათუნა და ქეთი ბეგიაშვილები.

როგორ მივიღოთ ტელეგადაცემები ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის შემდეგ

მომავალი წლის ივნისიდან ტელევიზორები, რომლებსაც ახლა მოვიხმართ, გამოუსადეგარი გახდება, რადგან ისინი ტელეარხების მიღებას ველარ შეძლებს. საქართველო ციფრულ მაუწყებლობაზე გადადის, რაც იმას ნიშნავს, რომ ტელევიზიების სიხშირული სიგნალები გაითიშება და ოთახის ანტენებით ვერცერთ არხს ველარ დავიჭერთ. მათ შორის გადამცემები გაითიშება დედოფლისწყაროს სატელევიზიო ანძაზეც.

რამდენიმე კვირაა მოსალოდნელი ცვლილებების შესახებ ინფორმაციას ინტენსიურად ვეცნობი. ამ საკითხით რამდენიმე წლის წინაც დავინტერესდი, როცა ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის იდეა პირველად გაჟღერდა. მიუხედავად იმისა, რომ ტელე-რადიო ჟურნალისტიკის ფაკულტეტი მაქვს დამთავრებული, სიმართლე გითხრათ, პროექტი იმდენად რთული ენითაა დაწერილი და იმდენ გაუგებარ ტერმინს მოიცავს, დეტალების ბოლომდე გარკვევა ჩემთვისაც არ იყო ადვილი. ამიტომ, დედოფლისწყაროელებისთვისაც გასაგები რომ იყოს, შევეცდები, მარტივ ენაზე აგიხსნათ, რას გულისხმობს ციფრული მაუწყებლობა და როგორ ვუყუროთ ტელევიზორებს 2015 წლიდან.

ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო კავშირისა და ევროკავშირის შესაბამისი აქტების თანახმად, მიღწეულია ერთობლივი შეთანხმება, რომ ევროპაში, მათ შორის საქართველოში, ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლა 2015 წელს უნდა დასრულდეს. სწორედ ამიტომ, ჩვენს ქვეყანას ცვლილებების დაჩქარებულ რეჟიმში გატარება უწევს, რადგან მომავალი წლის 17 ივნისი ცვლილებების გატარების ბოლო თარიღად არის განსაზღვრული. პროცესს ეკონომიკის სამინისტროს მიერ ახლადშექმნილი „ციფრული მაუწყებლობის სააგენტო გააკონტროლებს“. მისი წლევანდელი ბიუჯეტი 20 მილიონი ლარია.

პირველ რიგში გეტყვით, რომ **მათთვის არაფერი შეიცვლება, ვინც ამ წუთას სატელიტური თეფშებით, საკაბელო ტელევიზიებით, ანდა „მაგთისატის“ ანტენებით სარგებლობს.** ეს ნიშნავს, რომ ცვლილებების დანერგვამდე თქვენ უკვე ხართ ციფრული მაუწყებლობის მომხმარებლები. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ბოლო წლებში რეგიონებში სატელიტური თეფშების მომხმარებელთა რიცხვი მკვეთრად გაზრდილია.

ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის შემდეგ, იმ ოჯახებისთვის, რომლებიც ახლა ე.წ. სახლის ანტენებით სარგებლობენ, ციფრული მაუწყებლობის მისაღებად აუცილებელი იქნება კონკრეტული სტანდარტის ტელევიზორების შეძენა. ან, არსებულ ტელევიზორზე ე.წ სეთ-თოფ ბოქსების (რესივერები) მიერთება, რომლებიც 2014 წლის განმავლობაში საქართველოში მასობრივად შემოვა, მომხმარებელი კი მათ ამოცნობას განმასხვავებელი ჰოლოგრამული სტიკერით შეძლებს. ხელისუფლება ირწმუნება, რომ ახალი მოწყობილობების შეძენა თითო ოჯახს 35 დოლარზე ძვირი არ დაუჯდება. ე.წ. რესივერების გარეშე კი გადაცემების მიღება შეუძლებელი გახდება.

რადგან მომხმარებლების მიერ მოწყობილობის შეძენაზე ვსაუბრობთ, აქვე დაგამშვიდებთ, რომ ხელისუფლება გეგმავს

სოციალურად დაუცველ ოჯახებს, რომლებიც სიღატაკის ზღვარს მიღმა მყოფთა ერთიან ბაზაში არიან რეგისტრირებულნი და მათი საერეიტინგო ქულა 70 000-ზე ნაკლებია რესივერები უფასოდ გადასცეს.

ამ მხრივ, ხელმოკლე ოჯახებს ცვლილებების პრაქტიკაში განხორციელების შემდეგ გადაცემების მიღებაზე შეფერხება არ უნდა ჰქონდეთ. ხელისუფლებას კონკრეტული სქემა, თუ რა სახით დაეხმარება გაჭირვებულ ოჯახებს ჯერ არ აქვს, თუმცა გაცხადებულია, რომ ასეთი მოქალაქეების შესაბამისი ტექნიკური აღჭურვა სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდება.

ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლას როგორც ქვეყნისთვის, ისე ტელემაუწყებლებისთვის არაერთი დადებითი მხარე აქვს. უპირველეს ყოვლისა, ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლა ხელს შეუწყობს მედიაპლურალიზმს, სიტყვის თავისუფლებას და ტელემაუწყებლობის შემდგომ განვითარებას. ეს, თავის მხრივ, საშუალებას მისცემს როგორც არსებულ, ისე ახალ ტელემაუწყებლებს, გავრცელდნენ ღია ეთერით მთელი საქართველოს მასშტაბით და საქართველოს ყველა მოქალაქეს მიაწოდონ მათი სატელევიზიო გადაცემები. მოსახლეობას კი ექნება შესაძლებლობა, უფასოდ მიიღოს უფრო მეტი და გაუმჯობესებული ხარისხის სატელევიზიო არხი. **ციფრული მაუწყებლობის დანერგვით უმჯობესდება როგორც ვიზუალური გამოსახულება, ისე ხმოვანი ეფექტი. რაც მთავარია, სიხშირული სიგნალით მიღებული მაუწყებლობისგან განსხვავებით ციფრულ მაუწყებლობას აღარ ექნება ე.წ. ფიფქები და შემაწუხებელი ზოლები, რომლებიც ტელე გადაცემებს ოთახის ანტენით მიღების დროს თან გასდევს და მაყურებელს საკმაო დისკომფორტს უქმნის.**

მიუხედავად იმისა, რომ ცვლილებები თავის მხრივ ხარისხის გაუმჯობესებას ემსახურება, ირკვევა, რომ მოსახლეობის ნაწილი ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლას სკეპტიკურად უყურებს. კახეთში მოქმედმა ტელეკომპანიებმა ამ საკითხზე მოსახლეობის გამოკითხვა უკვე აწარმოეს. აღმოჩნდა, რომ კახელების ნაწილი ხელისუფლებას პროცესის დროებით გადადებას სთხოვს. ძირითადად უფროსი თაობის ადამიანები მოსალოდნელ ცვლილებებს შიშის თვალით უყურებენ და ხელისუფლებას დამატებითი ფინანსური ხარჯების დაზოგვისკენ მოუწოდებენ. თუმცა, ხელისუფლებას ვადების გადაწევა არ ხელენიფება, რადგან სხვა ქვეყნების მსგავსად, ამავე ვადებში ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის ვალდებულება საქართველომაც აიღო. სხვა განწყობა აქვთ ახალგაზრდებს. გამოკითხულთაგან ახალი თაობის წარმომადგენლები ცვლილებას მიესალმებიან, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის აუცილებლობაზე საუბრობენ და ხელისუფლებას პროცესის დაჩქარებას სთხოვენ.

კახეთის რეგიონში ტელევიზია რამდენიმე ქალაქში მოქმედებს, თელავში ადგილობრივი ტელეკომპანიები **„თანამგზავრი“** და **„გორდა“**, ასევე **„გურჯაანი“**, ლაგოდეხში „ლტვ“ საგარეჯოში **„თვალი“**. კახეთში მოქმედი ტელეკომპანიების წარმომადგენლები ამბობენ, რომ ციფრული მაუწყებლობის დანერგვამდე რეგიონული მაუწყებლობის ტექნიკური გადაიარაღება აუცილებელია, რადგანაც მათი ბაზა საკმაოდ მწირია და საკმაოდ ძველი ტექნიკისგან შედგება. ციფრული მაუწყებლობა კი მაღალ ხარისხს მოითხოვს. ცნობილია ისიც, რომ თბილისში მოქმედი ცენტრალური ტელევიზიებისთვის ციფრული მინისზედა სამაუწყებლო ქსელი ცალკე აიგება, ხოლო რეგიონული მუწყებლებისთვის ერთი საერთო ქსელი აშენდება. ვინაიდან მოწყობილობა ძვირადღირებულია, რეგიონულ მაუწყებლებს კი ფინანსური რესურსი არ შესწევთ, გადაწყდა, რომ მაუწყებლები გაერთიანდებიან და ყველა მათგანს ერთი ქსელი მოემსახურება.

კახეთში მოქმედი რადიო „ჰერეთის“ დირექტორი **რამაზ სამხარაძე** გაზეთ „შირაქთან“ საუბარში ამბობს, რომ ციფრული მაუწყებლობის მოდელზე გადასვლა რადიოსადგურებს არ ეხება და ის მხოლოდ ტელევიზიებს მოიცავს. რადიოს სპეციფიურობიდან გამომდინარე, მისი მოსმენა ავტომობილსა და მინდორშიც შესაძლებელი უნდა იყოს, ამდენად, იმთავითვე გამორიცხულია, რომ სახელმწიფომ მიწისზედა ანტენებით რადიოსიხშირული ტალღების გავრცელებაზე უარი თქვას, რადგან მოგეხსენებათ, ავტომობილებსა და ღია ცის ქვეშ, თუნდაც მინდორში, ე.წ. რესივერების მონტაჟი ვერ მოხერხდება.

„კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების პროექტს საქართველოს პარლამენტმა კენჭი 19 თებერვალს უყარა და 75 ხმით 0-ის წინააღმდეგ დაამტკიცა. ჩვენი მოსაზრებებით წარმოდგენილი ცვლილებები მოითხოვს დაზუსტებას, რადგან არ ასახავს ყველა იმ სამართლებრივ ურთიერთობას, რომლის მოსაწესრიგებლადაც არის მიმართული აღნიშნული ცვლილებები.

მთავრობის მიერ მოწონებული ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის სამოქმედო გეგმა და რეკომენდაციები 8 თებერვალს გამოქვეყნდა. დოკუმენტი ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) დახმარებით, კომუნიკაციების ეროვნული კომისიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების რეკომენდაციების გათვალისწინებით შეიქმნა.

როგორც დიმიტრი ქუმსიშვილი აცხადებს, საინფორმაციო კამპანია იმდაგვარად წარიმართება, რომ ყველა მოქალაქეს სამაუწყებლო სიგნალის მიღების საშუალება ჰქონდეს.

ილია მარტყოფლიშვილი

ულოცავენ!

ნიკოლოზ გველუკაშვილს!

ჩვენო უმცროსო და ყველაზე საყვარელო ძამიკო, გილოცავთ 6 წლის იუბილეს, გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას შენს საყვარელ ოჯახთან ერთად.

და: სალომე, **ძმა:** გიორგი,
დეიდაშვილები: ალეკო და მაკო კოტაშვილები

სიახლე!

26 თებერვლიდან ქალაქ დედოფლისწყაროში მუშაობას იწყებს ინკუბატორი სპეციალურად იხვის კვერცხის გამოსაჩეკად. ასევე მიიღება ნებისმიერი ფრინველის კვერცხი.
მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, კოსტავას ქუჩა N14, კულტურის სახლთან. მისასვლელი-ახალი პოლიციის ან ბაზრის მხრიდან. მსურველებმა დარეკეთ:

☎ 579 33 07 41; 555 00 79 16; 557 23 88 99; 790 40 82 15 იკითხეთ თამაზი.

იყიდება

იყიდება საცხოვრებელი სახლი ეზოთი და დიდი ბაღით სოფელ ხორნაბუჯში, მეგობრობის ქუჩა N69. ფასი შეთანხმებით. მსურველებმა დარეკეთ შემდეგ ნომერზე

☎ 555 68 24 24.

შეეკითხე გამგებელს

კვირას, 9 მარტს 17:30 საათზე დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი თოქ-შოუში „დედოფლისწყაროს საათი“ **ილია მარტყოფლიშვილის კითხვებს ტელერადიოკომპანია „ობიექტივის“ ეთერში უპასუხებს. დედოფლისწყაროელებს შესაძლებლობა აქვთ პირდაპირ ეთერში სასურველი კითხვა დაუსვან ახლადდანიშნულ გამგებელს და მოისმინონ პასუხები მათთვის სასურველ საკითხებზე. სტუდიის ტელეფონია 0322 388 105 შეგიძლიათ დარეკოთ, ასევე, სკაიპით მისამართზე Obieqtivi2**

შეგიძლიათ გვიყუროთ სატელიტურ თეფშებზე, **„მაგთისატის“, „ბლექსისატის“, „თურქსატის“** საშუალებით, თუ სხვა ნებისმიერი თანამგზავრული სისტემით. ასევე, გვიყურეთ ინტერნეტში, გადახვევის რეჟიმით საიტებზე **Myvideo.ge** და ასევე „ობიექტივის“ ოფიციალურ ვებგვერდზე **Obieqtivi.net** სადაც ნახავთ მიმდინარე გადაცემებს და ყველა გადაცემის ვიდეოჩანაწერს.

„ობიექტივს“ ნახავთ ასევე საქართველოს ნებისმიერ წერტილში მოქმედ ყველა საკაბელო ქსელში, გვიპოვით საქართველოში მოქმედი ყველა თანამგზავრული სისტემით, ასევე ბათუმის 25-ე არხით. ჩვენი ხმა ასევე ისმის რადიოტალღაზე FM 105.1

ყოველ კვირას 17:30 წუთზე გაეცანით დედოფლისწყაროს ახალ ამბებს, იხილეთ ვიდეორეპორტაჟები და მოუსმინეთ ადგილობრივ სტუმრებს „ობიექტივის“ ეთერში თოქ-შოუ „დედოფლისწყაროს საათი“.

გადაცემის განმეორებითი ჩვენება 00:30 წუთზე

ამინდი — დედოფლისწყარო

ორშაბათი 03.03	სამშაბათი 04.03	ოთხშაბათი 05.03	ხუთშაბათი 06.03	პარასკევი 07.03	შაბათი 08.03	კვირა 09.03
დღე / ღამე	დღე / ღამე	დღე / ღამე	დღე / ღამე	დღე / ღამე	დღე / ღამე	დღე / ღამე
7° / 4°	8° / 5°	9° / 6°	11° / 7°	9° / 8°	8° / 7°	9° / 7°

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ნანრა გორაშვილი-პოპიაშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მესხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქინქლაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
551 25-17-44 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.

C M Y K